- დ) კონვალესცენციის პერიოდი დაახლოებით ორჯერ მეტი უნდა იყოს სიმპტომურ პერიოდთან შედარებით;

464. ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რომელი არ არის დამახასიათებელი ოჯახური აღენომაცობური პოლიპომისათვის?

- ა) გადაეცემა მემკვიდრეობით, როგორც აუტოსომურ-დომინანტური მდგომარეობა;
- ბ) არის კიბოსწინარე მდგომარეობა;
- გ) ვითარდება მძიმე წყლულოვანი კოლიტის დროს;
- დ) იწვევს ელექტროლიტურ დისბალანსს;
- \*ე) შეიძლება იყოს ასიმპტომური.

465. ჰელიკობაქტერიები

- ა) არიან გრამ-დადებითი ბაცილები;
- ბ) თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შემთხვევაში ვლინდება პაციენტების უმრავლესობაში;
- გ) კარგად ემორჩილება მეტრონიდაზოლით, ტეტრაციკლინითა და ბისმუტის პრეპარატებით მკურნალობას;
- დ) სწორია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი;
- \*ე) თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შემთხვევაში ვლინდება პაციენტების უმრავლესობაში; კარგად ემორჩილება მეტრონიდაზოლით, ტეტრაციკლინითა და ბისმუტის პრეპარატებით მკურნალობას;

466. გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის სადიაგნოსტიკო ნიშნებია, ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი გარდა:

- ა) არასრული დეფეკაციის შეგრძნება;
- ბ) სწორი ნაწლავიდან ლორწოს გამოყოფა;
- \*გ) სწორი ნაწლავიდან სისხლდენა;
- დ) მუცლის შებერვის შეგრძნება;
- ე) წონის დაკლება.

467. კუჭის კიბო

- \*ა) დაკავშირებულია კუჭის გადატანულ ოპერაციასთან;
- ბ) პირველივე ვიზიტისას შესაძლოა სიმსივნეთა უმრავლესობის პალპაცია;
- გ) თან ახლავს ჰიპერაციდური მდგომარეობა;
- დ) იშვიათად ვრცელდება ლიმფურ კვანძებში;
- ე) პასუხი ყველა ზემოთ აღნიშნული.

468. ჩვილ ბავშვებში ამოქაფების მიზეზია:

- ა) საყლაპავის კუჭში გადასვლის ბლაგვი კუთხის არსებობა;
- ბ) კუჭის პილორული ნაწილის მაღალი ტონუსი;
- გ) მუცლის ღრუში მაღალი წნევა;
- \*დ) ყველა ზემოთჩამოთვლილი.

469. თანდაყოლილი პილოროსტენოზს არ ახასიათებს:

- \*ა) გამოვლინება ძირითადად დენაკლულ ახალშობილებში;
- ბ) მკაფიუსუნიათი საკვები მასის შადრევისებრი ღებინება;
- გ) გაძლიერებული პერისტალტიკა ეპიგასტრიუმის არეში - "ქვიშის საათის" სიმპტომი;
- დ) ლეჰნდრაგაცია, მკაფა-ტუტოვანი წონასწორობის დარღვევა, ჰემორაგიული სინდრომი.

470. თანდაყოლილი პილოროსტენოზის დიაგნოსტიკური კრიტერიუმებიდან რომელია არასწორი?

- ა) ღრმა პალპაციით შესაძლებელია კუჭის გამკვრივებული პილორული ნაწილის შეგრძნება;
- ბ) რენტგენოლოგიურად ბარიუმის მასის დაყოვნება კუჭში 12 სთ-ზე მეტად;
- \*გ) დადებითი შედეგი სპაზმოლიზური თერაპიის ფონზე;
- დ) კუჭიდან თორმეტგოჯა ნაწლავში ფიბროსკოპის გადასვლის შეუძლებლობა.

471. კუჭის წყლულოვანი დაავადების შემთხვევაში რა დროით უნიშნავენ ბავშვს #1 სამკურნალო მაგიდას სრული რემისიის პერიოდში?

- ა) 1-2 კვირით;
- ბ) 1-2 თვით;
- გ) 6 თვემდე;
- \*დ) 12 თვემდე;
- ე) დისპანსერული მეთვალყურეობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

472. რემისიის მიღწევიდან რა დროის შემდეგ შეიძლება თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებული ბავშვის გაგზავნა სანატორიულ-კურორტული მკურნალობისთვის?

- ა) 3-4 კვირის შემდეგ;
- ბ) 3 თვის შემდეგ;
- \*გ) 6 თვის შემდეგ;
- დ) 1 წლის შემდეგ;
- ე) 2 წლის შემდეგ.

473. ღვიძლის ციროზის ბავშვობის ასაკში არ ახასიათებს:

- ა) ზოგადი სისუსტე, დისპეფსიური გამოვლინებები;
- ბ) ჰეპატოსპლენომეგალია და სიყვითლე;
- გ) ხელისგულების ერთეუმა;
- \*დ) არტერიული ჰიპერტენზია;
- ე) კანზე ტელანგიექტაზიები.

474. ცელაკიას არ ახასიათებს:

- ა) კლინიკური სურათის მანიფესტაცია ხელოვნურ კვებაზე გადაყვანის ან დამატებითი კვების შემდეგ;
- ბ) მუცლის ზომების მკვეთრი მატება;
- გ) ფიზიკურ განვითარებაში მკვეთრი ჩამორჩენა;
- \*დ) ჰეპატოსპლენომეგალია და სიყვითლე.

475. ჰირშპრუნგის დაავადებას (თანდაყოლილ მეგაკოლონს) არ ახასიათებს:

- ა) მუღმივი ყაბზობა სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე;
- ბ) მეტეორიზმი;
- გ) მუცლის გაღივება და ასიმეტრია ("ბაყაყის მუცელი");
- \*დ) სწორი ნაწლავის გამოვარდნა.

476. ენტერობიომის გამოვლინების ძირითადი სიმპტომია:

- ა) ანორექსია;
- ბ) თავის ტკივილი და თავბრუ;
- \*გ) უკანა განის ქაფილი ღამით;
- დ) მოვლითი ტკივილი მუცლის არეში;
- ე) ღიარება ლორწოს შემცველი განავლით.

477. ენტერობიომის სამკურნალოდ ყველაზე უფრო ეფექტურია:

- ა) ლეკარისი (ლევამიზოლი);
- \*ბ) ვერმოქსი (მებენდაზოლი);
- გ) ნაფთამონი;
- დ) დიფენილი;
- ე) პირანტელი.

478. უმეტესად ნაწლავთა პოლიპები ლოკალიზებულია:

- ა) წვრილ ნაწლავში;
- ბ) განივ კოლინჯში;
- გ) სიგმოიდურ კოლინჯში;
- \*დ) სწორ ნაწლავში;
- ე) ანალურ არხში.

479. პილოროსტენოზულ ღებინებას ახასიათებს:

- ა) იშვიათი ამოქაფება;
- ბ) ამონაღები მასა მეგია მიღებული საკვების რაოდენობაზე;
- გ) ხშირი ამოქაფება;
- \*დ) ღებინება "შადრევისებურად".

480. ბავშვს 6 დღე აღენიშნება მუცლის ტკივილი, ტემპერატურა 39 grad.C. სისხლში ლეიკოციტოზი - 19000.

მარჯვენა ილეოცეკალურ არეში პალპაციით ვლინდება მკვივნეული სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნი. ექიმის ტაქტიკაა:

- ა) ანტიბიოტიკოთერაპიის დანიშვნა, ცივი მუცელზე;
- ბ) კონსულტაცია ქირურგთან;

- \* გ) სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია ქირურგიულ განყოფილებაში;
- დ) სადიაგნოსტიკოდ მუცლის ღრუს მიმოხილვითი სურათის გადაღება.

481. ინეგინაცია უხშირესად გვხვდება:

- \* ა) 2 წლამდე ასაკში;
- ბ) ახალშობილებში;
- გ) სკოლის ასაკში;
- დ) მოზარდებში.

482. ბავშვებში კუჭის წვენის მქაფიანობის დადგენის ჩვენებაა:

- ა) დიზურიული მოვლენები;
- \* ბ) "მშვიერი ტკივილები" ეპიგასტრიუმის მიდამოში;
- გ) ტკივილი დეფეკაციის დროს;
- დ) დისფაგია.

483. პილოროსპაზმი უმეტესად ვლინდება:

- \* ა) 6 თვემდე ასაკში;
- ბ) 1-დან 3 წლამდე ასაკში;
- გ) სკოლამდელ ასაკში;
- დ) სკოლის ასაკში.

484. უფროსი ასაკის ბავშვებში პილოსპაზმის განვითარება შესაძლებელია:

- ა) პილორუსის მორეციდივე წყლულის დროს;
- ბ) გასტრიტის დროს;
- გ) დუოდენიტის დროს;
- \* დ) დუოდენოგასტრალური რეფლუქსის დროს.

485. უფროსი ასაკის ბავშვებში ენტეროკოლიტის განვითარების ხშირი მიზეზია:

- ა) ყაბზობა;
- ბ) დიეტის დარღვევა;
- \* გ) ნაწლავთა გახანგრძლივებული ინფექცია;
- დ) კომპენსირებული დისბაქტერიოზი.

486. ბავშვებში ქრონიკული ენტერიტის განვითარების ყველაზე ხშირი მიზეზია:

- ა) ხშირი ნაწლავური ინფექცია;
- ბ) დისბაქტერიოზი;
- გ) კვების დეფექტები;
- \* დ) არაკორეგირებული თანდაყოლილი ფერმენტოპათიები.

487. კოლიტის რისკის ჯგუფის ბავშვებს უნიშნავენ:

- ა) ნაღვლმდენ დიეტას;
- ბ) დამზოგველ დიეტას;
- \* გ) დიეტას, რომელიც არეგულირებს დეფეკაციის რიტმს;
- დ) ანტაციდურ დიეტას.

488. გაღიზიანებული სწორი ნაწლავის ფიგოპროფილაქტიკას აწარმოებენ:

- \* ა) გვირილათი, კრაზანათი, უღებურათი;
- ბ) ნაღვლმდენი საშუალებებით;
- გ) სენას ფოთლებით;
- დ) ხეჭრელას ექსტრაქტით.

489. ბავშვებში სწორი ნაწლავიდან სისხლის დენის ყველაზე ხშირი მიზეზია:

- ა) წყლულოვანი კოლიტი;
- \* ბ) უკანა განის (ანუსის) ნახეთქი;
- გ) პოლიპები;
- დ) ჰემოფილია;
- ე) ლეიკოზი.

490. 2 წლის ბავშვს, რომელსაც ყაბზობა აქვს, განავლის ბოლო ულუფა შეფერილია სისხლით, თქვენი სავარაუდო დიაგნოზია:

- ა) ნაწლავის ინვაგინაცია;
- ბ) სწორი ნაწლავის პოლიპი;
- \*გ) უკანა განის ნახეთქი;
- დ) მეკელის დივერტიკული;
- ე) 12-გოჯა ნაწლავის წყლული.

491. 6 წლის ავადმყოფს დეფეკაციის დროს პერიოდულად აღენიშნება სწორი ნაწლავიდან მცირე რაოდენობის ალისფერი სისხლი, თქვენი სავარაუდო დიაგნოზია:

- ა) ნაწლავის ინვაგინაცია;
- \*ბ) სწორი ნაწლავის პოლიპი;
- გ) სწორი ნაწლავის ლორწოვანის ნახეთქი;
- დ) მეკელის დივერტიკული;
- ე) 12-გოჯა ნაწლავის წყლული.

492. რას აღასტურებს ახალშობილის მუცლის დრუს მიმოხილვით რენტგენოგრაფიაზე სითხის 2 ღონის არსებობა?

- ა) განივი კოლინჯის აგრემიას;
- ბ) ჰირშპრუნგის დაავადების მწვავე ფორმას;
- გ) პილორული არხის აგრემიას;
- \*დ) 12-გოჯა ნაწლავის თანდაყოლილ გაუვალობას;
- ე) არტერიო-მემბრანული გაუვალობას.

493. რომელი ორგანოს ფერმენტის დეფიციტითაა განპირობებული მეკონიუმური გაუვალობა?

- ა) წვრილი ნაწლავის;
- ბ) ლარგენჰანსის კუნძულების უჯრედების;
- გ) ღვიძლის;
- \*დ) კუჭქვეშა ჯირკვლის ეკმოკრინული უჯრედების;
- ე) კუჭის.

494. 6 თვის ჯამრთელ ბავშვმა უეცრად დაიწყო გირილი. გემპერატურა ნორმალური აქვს. მუცელი დაჭიმული, კუჭის მოქმედება არა ჰქონია. რექტალური გასინჯვით დროს თითზე სისხლია. თქვენი დიაგნოზი:

- ა) მწვავე აპენდიციტი;
- ბ) მწვავე პანკრეატიტი;
- გ) მწვავე გასტროენტერიტი;
- \*დ) ინვაგინაცია.

495. ორალური სარეჰიდრატაციო ხსნარის გამოყენება ეფექტურია:

- ა) ახალშობილობის პერიოდში;
- ბ) ჩვილობის პერიოდში;
- გ) 5 წელზე მეტ ასაკში;
- დ) 5 წლამდე ასაკში;
- \*ე) ყველა ასაკში.

496. დიარეის დროს ორალური რეჰიდრატაციის ჩასატარებლად აუცილებელია:

- ა) კოპროლოგიური გამოკვლევა;
- ბ) განავლის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა;
- \*გ) ექსიკომის (გაუწყლოვნების) ხარისხის დადგენა;
- დ) პერიფერიული სისხლის საერთო ანალიზი;
- ე) ყველა ზემოხაზოთვლილი.

497. დიარეის ბინამზე მკურნალობის ძირითადი პრინციპია:

- ა) სითხეებით დატვირთვა;
- ბ) ხშირი კვება;
- გ) ბავშვის მოვლის შესახებ დედისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- \*დ) ყველა ზემოხაზოთვლილი.

498. ბავშვებში ექსიკოზის (გაუწყლოვნების) ნიშნებია:

- ა ) ცხელება, ღებინება;
- ბ ) შეშუპება, ჰიპერტენზია, არიტმიული პულსი, ტაქიკარდია;
- \*გ) ჩაცვნილი თვალები, კანის ელასტიკურობის დაქვეითება, ლორწოვანი გარსების და ენის სიმშრალე, წყურვილის გრძნობა;
- დ ) ღებინება, გახშირებული პულსი, ჰიპერტენზია.

499. ღიარეის დაწყებისთანავე აუცილებელია:

- ა ) ძუძუთი კვების შეწყვეტა, სითხეებით დაგვირთვა, გაუწყლოვნების ნიშნების გამოვლენა;
- ბ ) სითხეებით დაგვირთვა, ძუძუთი კვების გაგრძელება, ღიარეის საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება;
- \*გ) სითხეებით დაგვირთვა, ძუძუთი კვების გაგრძელება, გაუწყლოვნების ნიშნების გამოვლენა და ზოგადი მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მედიკოსონალთან მიმართვა;
- დ ) ყველა ზემოხაზოთვლილი.

500. ანგიბაქტერიულ პრეპარატებს იყენებენ:

- ა ) როტავირუსული ინფექციის შემთხვევაში;
- ბ ) კვებითი მოწამლის შემთხვევაში;
- გ ) დისბაქტერიოზის შემთხვევაში;
- \*დ) შიგელოზის (დიზენტერიის) შემთხვევაში;
- ე ) ყველა პასუხი სწორია.

501. ღიარეის დაწყების დროს ავადმყოფმა:

- ა ) არ უნდა მიიღოს სითხე, ვინაიდან ღიარეა გაძლიერდება;
- ბ ) უნდა მიიღოს ანტიღიარეული პრეპარატები;
- \*გ) უნდა მიიღოს ორალური სარეჰიდრატაციო ხსნარი;
- დ ) უნდა გადავიდეს "მშიერ ღიეტაზე".

502. ძუძუთი კვებაზე მყოფ 6 თვემდე ასაკის ბავშვს, რომელსაც ღიარეის გამო უტარდება რეჰიდრატაცია, ურჩევთ:

- ა ) შეწყვიტოს ძუძუთი კვება 6 საათით;
- ბ ) შეწყვიტოს ძუძუთი კვება 24 საათით;
- \*გ) გააგრძელოს ძუძუთი კვება;
- დ ) 6 საათი შეწყვიტოს ძუძუთი კვება და მისცეს სოიოზე დამზადებული ხელოვნური ნარევი.

503. 1 წლის ასაკის ბავშვს, რომელსაც გამოხატული გაუწყლოვნების გამო უტარდება რეჰიდრატაცია, ურჩევთ:

- ა ) განაგრძოს საკვების მიღება;
- \*ბ) მიიღოს საკვები რეჰიდრატაციის დაწყებიდან 4 საათის შემდეგ;
- გ ) მიიღოს საკვები რეჰიდრატაციის დაწყებიდან 6 საათის შემდეგ;
- დ ) მიიღოს საკვები რეჰიდრატაციის დაწყებიდან 12 საათის შემდეგ.

საშარდე სისტემის დაავადებები

507. ჩვეულებრივ როგორი ხასიათისაა ანემია, რომელიც დაკავშირებულია თირკმლის უკმარისობასთან?

- ა ) ჰიპოქრომული;
- ბ ) მაკროციტული;
- \*გ) ნორმოქრომულ-ნორმოციტული;
- დ ) მიკროციტული;
- ე ) ჰიპოქრომულ -მიკროციტული.

508. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ახასიათებს ნეფროზულ სინდრომს?

- ა ) პროტეინურია >3,5 გ/დღეში;
- ბ ) შეშუპება;
- გ ) ჰიპოალბუმინემია;
- დ ) ჰიპერქოლესტერინემია;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

509. რას მოიცავს ნეფროზული სინდრომის მკურნალობა?

- ა) კორგიკოსტროიდები;
- ბ) მარყუკოვანი დიურეზული საშუალებები;
- გ) თიაზიდური დიურეზული საშუალებები;
- დ) ცილის შეზღუდვა;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

512. სტრეპტოკოკული ინფექციის წყაროს არსებობისას მწვავე გლომერულონეფრიტი ჩვეულებრივ იწყება

- ა) ინფექციური დაავადების დროს;
- ბ) დაავადებიდან 5-7 დღის;
- \*გ) დაავადებიდან 10-14 დღის შემდეგ;
- დ) დაავადებიდან 15-20 დღის შემდეგ.

514. ნეფროფტოზი შეიძლება გართულდეს

- ა) პიელონეფრიტით;
- ბ) ფორნიკალური სისხლდენით;
- გ) არტერიული ჰიპერტენზიით;
- \*დ) ყველა ჩამოთვლილით.

516. ქრონიკული გლომერულონეფრიტით დაავადებულს, რომელიც მკურნალობს პრედნიზოლონით (80 მგ. საღლე-ღამის დოზა) აღმოაჩნდა კუჭის წყლული. თქვენი პოზიცია

- ა) პრედნიზოლონის დოზის გაზრდა;
- ბ) პრედნიზოლონის დოზის შემცირება;
- \*გ) პრედნიზოლონის პარენტერალურ შეყვანაზე გადასვლა და მისი თანდათანობით მოხსნა;
- დ) პრედნიზოლონის სრული მოხსნა.

517. ჰიპოკალიემია შეიძლება აღინიშნებოდეს ყველა ჩამოთვლილი მდგომარეობის დროს, გარდა

- ა) პირველადი ჰიპერალდოსტერონიზმისა;
- ბ) იცენკო-კუშინგის დაავადებისა;
- გ) რენოვასკულარული ჰიპერტენზიისა;
- დ) რენინმაპროდუცირებელი სიმსივნისა;
- \*ე) თირკმლის უკმარისობის ოლიგურიული ფორმისა.

518. ბაქტერიული შოკი შეიძლება იყოს შემდეგი დაავადების გართულება

- \*ა) პიელონეფრიტის;
- ბ) გლომერულონეფრიტის;
- გ) პოდაგრული ნეფროპათიის;
- დ) ამილოიდოზის.

519. ნეფროზული სინდრომი შეიძლება აღინიშნებოდეს ყველა ჩამოთვლილი დაავადებისას, გარდა

- \*ა) პიელონეფრიტისა;
- ბ) ამილოიდოზისა;
- გ) სისტემური წითელი მგლურასი;
- დ) თირკმლის ვენების თრომბოზისა.

520. თირკმლების ქრონიკული უკმარისობით დაავადებულს სისხლის გამოკვლევისას აღმოაჩნდა გამოხატული ჰიპოკალიემია. რა შეიძლება იყოს ამის მთავარი მიზეზი

- ა) კვების პროლუქტების შემადგენლობა;
- \*ბ) ლებინება;
- გ) ღიარება.

521. თირკმლების ქრონიკული უკმარისობის უმნიშვნელოვანესი ეტიოლოგიური ფაქტორია

- ა) ქრონიკული პიელონეფრიტი;
- \*ბ) ქრონიკული გლომერულონეფრიტი;
- გ) ჰიპერტონიული დაავადება;
- დ) შემავრთებელი ქსოვილის დიფუზური დაავადებები.

522. ჩამოთვლილი პრეპარატებიდან ყველაზე სუსტი დიურეზული მოქმედება გააჩნიათ

- ა) ჰიპოთიაზიდს;
- \*ბ) ვეროშპირონს;
- გ) ტრიამპურს;
- დ) ფუროსემიდს.

523. ყველაზე გამოხატული კალიურემული მოქმედება გააჩნია

- ა) ტრიამტერენს;
- \*ბ) ჰიპოთიაზიდს;
- გ) ლაზიქსს;
- დ) ურეგიტს.

524. ვეროშპირონმა შეიძლება გამოიწვიოს

- ა) გინეკომასტია მამაკაცებში;
- ბ) ქალებში თვიურის დარღვევა;
- გ) ჰირსუტიზმი;
- დ) ჰიპერკალიემია;
- \*ე) ყველა ჩამოთვლილი.

526. შოკის დროს თირკმლების მწვავე უკმარისობის მიზეზია

- ა) ვეგეტატიური დარღვევები;
- ბ) ლაზიანებული ქსოვილებიდან ინტოქსიკაცია;
- \*გ) არტერიული წნევის დაქვეითება;
- დ) თანმხლები ინფექცია;
- ე) ანგიგენ-ანგისხეულის კომპლექსის ჩამოყალიბება.

527. თირკმლების მწვავე უკმარისობის გამოწვევა შეუძლია ანგიბიოტიკების შემდეგ ჯგუფებს

- ა) პენიცილინებს;
- ბ) მაკროლიდებს;
- გ) ტეტრაციკლინებს;
- \*დ) ამინოგლიკოზიდებს;
- ე) ცეფალოსპორინებს.

528. თირკმლების მწვავე უკმარისობის დროს ოლიგურიის შესაძლო ხანგრძლივობა არის

- ა) 1-2 კვირა;
- ბ) რამდენიმე საათი;
- გ) რამდენიმე საათიდან რამდენიმე კვირამდე;
- \*დ) ყველა ჩამოთვლილი.

529. დიურეზის აღდგენის პერიოდი თირკმლის მწვავე უკმარისობისას ხასიათდება

- ა) შარდის ხვედრითი წონის მაგებით;
- \*ბ) პოლიურიით;
- გ) იზოსტენურიით.

530. თირკმლების მწვავე უკმარისობის დროს დიურეზის აღდგენის პერიოდში ავადმყოფს შეიძლება დაემუქროს

- ა) ფილტვების შეშუპება;
- \*ბ) ჰიპოკალემია;
- გ) ჰიპერჰიდრატაცია;
- დ) ურემიული პერიკარდიტი;
- ე) ყველა ჩამოთვლილი.

531. შარდის დათესვას აზრი აქვს

- ა) მწვავე ჩირქოვანი პიელონეფრიტის;
- ბ) ქრონიკული აქტიური პიელონეფრიტის;
- გ) ქრონიკული ლატენტური პიელონეფრიტის დროს;
- \*დ) ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში;
- ე) არც ერთ ჩამოთვლილ შემთხვევაში.



532. ტუბერკულოზის მიკობაქტერიის თირკმლებში მოხვედრის ძირითადი გზა არის

- \*ა) ჰემატოგენური;
- ბ) კონტაქტური მეზობელი ორგანოებთან;
- გ) ალმეფალი;
- დ) ლიმფოგენური;
- ე) ყველა ჩამოთვლილი.

534. მეორადი ამილოიდოზი შეიძლება განვითარდეს

- ა) რევმატოიდული ართრიტის;
- ბ) ფსორიაზული ართრიტის;
- გ) სიმსივნეების;
- დ) ბრონქოექტაზების დროს;
- \*ე) ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში.

535. მეორადი ამილოიდოზის დროს პროგნოზი, ძირითადად, განისაზღვრება

- \*ა) თირკმელების;
- ბ) თირკმელზედა ჯირკვლების;
- გ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის;
- დ) პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებით.

537. პოდაგრული ნეფროპათიის სამკურნალოდ იხმარება

- ა) ბენამიდი;
- \*ბ) ალოპურინოლი;
- გ) კურანტილი;
- დ) თიაზიდური შარდმდენები.

539. ლეიკოციტურია აღმოცენდება

- ა) პიელონეფრიტის;
- ბ) გლომერულონეფრიტის;
- გ) ამილოიდოზის დროს;
- \*დ) ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში.

543. ახალგაზრდა ქალებში ნეფრიტი უხშირესად შეიძლება იყოს გამოვლინება

- ა) დერმატომიოზის;
- \*ბ) სისტემური წითელი მგლურას;
- გ) სისტემური სკლეროდერმიის;
- დ) თრომბოციტოპენიური პურპურის;
- ე) კვანძოვანი პერიარტერიიტის.

548. ნეფროზულ სინდრომს ახასიათებს:

- \*ა) მნიშვნელოვანი პროტეინურია, ჰიპოალბუმინემია;
- ბ) ჰიპოლიპიდემია;
- გ) ჰიპერტონია;
- დ) ჰიპოფიბრინოგენემია.

ენდოკრინული სისტემის დაავადებები

551. თანდაყოლილ პირველად ჰიპოთირეოზს არ ახასიათებს:

- ა) ფსიქომოტორული ჩამორჩენა;
- ბ) ახალშობილთა სიყვითლის გახანგრძლივება;
- გ) კანის სიმშრალე;
- \*დ) ღიარება.

552. შაქრიან დიაბეტს არ ახასიათებს:

- ა) წყურვილი;
- ბ) შარდვის გახშირება;
- გ) სიგამხდრე;

\*დ) შარდვის სინძირის შემცირება.

553. აღრენოგენიგალური სინძრომის მარილდეფიციტურ ფორმას ახასიათებს:

ა ) მოთენთილობა;

ბ ) კუნთთა ჰიპოტონია;

გ ) თხელი განავალი;

\*დ) ყველა შემოჩამოთელილი;

ე ) მოთენთილობა; კუნთთა ჰიპოტონია;

554. თანდაყოლილ პირველად ჰიპოთირეოზს არ ახასიათებს:

ა ) ეკგ-ზე კბილების ვოლტაჟის შემცირება;

ბ ) თირეოტროპული ჰორმონის მომაგება;

გ ) T3 და T4-ის შემცირება;

\*დ) ზრდის ჰორმონის მაღალი დონე.

555. შაქრიან დიაბეტს არ ახასიათებს:

ა ) წყურვილი;

ბ ) პოლიურია;

\*გ) ეგზოფთალმი;

დ ) კანზე ნაკაწრები ქავილის შედეგად.

557. თანდაყოლილ პირველად არანამკურნალევ ჰიპოთირეოზს არ ახასიათებს:

\*ა) პოლიურია;

ბ ) ქსოვილების პასტოზურობა;

გ ) მაკროგლოსია;

დ ) კანის სიმშრალე.

559. თანდაყოლილ პირველად ჰიპოთირეოზს არ ახასიათებს:

ა ) ჰიპერქოლესტერინემია;

ბ ) ჩონჩხის ძელების დიფერენცირების შეფერხება;

გ ) ოსტეოპოროზი;

\*დ) პოლიურია;

ე ) ჩონჩხის ძელების დიფერენცირების შეფერხება; ოსტეოპოროზი;

561. "დიაბეტურ კეტოაციდოზურ კომას" არ ახასიათებს:

ა ) უგონო მდგომარეობა;

ბ ) კუსმაულის ხმაურიანი სუნთქვა;

გ ) კანის სიმშრალე;

\*დ) მრავლობითი ხიხინი ფილტვებში;

ე ) კუსმაულის ხმაურიანი სუნთქვა; მრავლობითი ხიხინი ფილტვებში;

562. ბავშვებში შაქრიანი დიაბეტის სადიაგნოსტიკოდ მნიშვნელოვანი სიმპტომია:

ა ) ედს-ის მომაგება;

ბ ) ჰიპერკალიემია;

გ ) შარდის დაბალი ხვედრითი წონა;

\*დ) ჰიპერგლიკემია.

563. თირკმელზელა ჯირკვლის ქრონიკულ უკმარისობას (ადისონის დაავადებას) არ ახასიათებს:

ა ) კანის ჰიპერპიგმენტაცია;

\*ბ) კანის სიყვითლე;

გ ) სიგამხდრე;

დ ) საერთო სისუსტე.

564. პირველად ჰიპერალდოსტერონიზმს (კონის სინძრომს) არ ახასიათებს:

\*ა) სისხლში შაქრის მომაგება;

ბ ) პოლიურია;

გ ) არტერიული ჰიპერტენზია;

დ) კუნთთა სისუსტე.

565. კონსტიტუციურ-ეკზოგენური სიმსუქნის სამკურნალოდ არ გამოიყენება:

- ა) ლიეტერაპია;
- ბ) სამკურნალო ფიზკულტურა;
- გ) ანორექსიგენული პრეპარატები;
- \*დ) ქლოდიგანი.

566. თირკმელზედა ჯირკვლის ქრონიკულ პირველად უკმარისობას (ადისონის დაავადებას) ახასიათებს:

- ა) არტერიული წნევის დაქვეითება;
- ბ) კორტიზოლის დონის შემცირება სისხლში;
- \*გ) ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის დონის შემცირება სისხლში;
- დ) გახლმბა.

567. ღიფუბური გოქსიკური ჩიყვის დროს არ აღინიშნება:

- ა) ეგზოფთალმი;
- ბ) კუნთოვანი სისუსტე;
- გ) ტრემორი;
- დ) ძლიერი ოფლიანობა;
- \*ე) ბრადიკარდია;
- ვ) მაღალი პულსური წნევა;
- ზ) სიგამხდრე;
- თ) ჰიპერგონია.

568. ჰაშიმოტოს თირეოიდიტს არ ახასიათებს:

- ა) დაავადება აუტოიმუნური ხასიათისაა;
- \*ბ) უფრო ხშირია ბიჭებში;
- გ) დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითი ფაქტორი;
- დ) დაავადების პროგრესირება იწვევს ჰიპოთირეოზის განვითარებას;
- ე) მკურნალობა გულისხმობს თირეოიდიული პრეპარატების დანიშვნას.

569. მეორადი ჰიპოთირეოზის ეტიოლოგიური ფაქტორი არ არის:

- ა) სამშობიარო ტრავმა;
- ბ) მენინგოენცეფალიტი;
- გ) სიმსივნური პროცესი თავის ტვინში;
- დ) თავის ქალას ტრავმა;
- \*ე) ჰიდროცეფალია.

570. ჩამორჩენა ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაში თანდაყოლილი ჰიპოთირეოზის დროს გამოიხატება:

- \*ა) 5-6 თვის ასაკში;
- ბ) 9-12 თვის ასაკში;
- გ) 2-3 წლის ასაკში;
- დ) სასკოლო ასაკში.

571. ჰიპოთირეოზის მანიფესტაციას ბავშვებში არ ახასიათებს:

- ა) გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენა;
- ბ) ქონდროლისტროფიული ცვლილებები ფიზიკური განვითარების მხრივ;
- გ) კანის სიმშრალე და აქერცვლა;
- დ) მიქსედემური შეშუპება;
- ე) ღილი ენა (პირში არ ეტევა);
- ვ) კარდიომეგალია, სისტოლური შუილი, ბრადიკარდია, ჰიპოტენზია;
- \*ზ) ჰეპატოსპლენომეგალია.

572. ქვემოაღნიშნული სამკურნალო ღონისძიებებიდან რომელი არ გამოიყენება ჰიპოთირეოზის კომპლექსური მკურნალობისას:

- \*ა) ჰორმონთერაპია კორტიკოსტეროიდებით;
- ბ) ჩანაცვლებითი თერაპია თირეოიდინითა და თიროქსინით;

- გ) ანტიანემიური მკურნალობა რკინის პრეპარატებით;
- დ) მკურნალობა ფსიქოფარმაკოლოგიური საშუალებით (ცერებროლიზინით, ამინალონით, ნოოტროპილით და სხვ.);
- ე) D ვიტამინის დანიშვნა სისხლში კალციუმის შემცველობის კონტროლით.

573. პარათჰორმონის (პჰ) კალციუმის ჰომეოსტაზის მარეგულირებელი მექანიზმებიდან რომელია არასწორი:

- ა) კალციუმისა და ფოსფორის მობილიზაცია ძვლოვანი ქსოვილიდან;
- \*ბ) ფოსფორის რეაბსორბციის გაძლიერება თირკმლის ტუბულური აპარატის მიერ;
- გ) შარდით კალციუმის ექსკრეციის შემცირება;
- დ) კუჭ-ნაწლავის გრაქტიდან კალციუმის შეწოვის გაძლიერება.

574. შაქრიანი დიაბეტის გამოვლინებად ჩვილობის ასაკში არ შეიძლება მივიჩნიოთ:

- ა) ძუძუსა და საწოვრის ხარბი წოვა;
- ბ) საფენების "გახამებული შესახელობა" შარდის გამრობის შემდეგ;
- გ) მაგიდის ბედაპირზე შარდის მოხვედრის შემდეგ წებოვანი ლაქების დარჩენა;
- დ) დაოღვილობა, რომელიც ძალიან ძნელად ექვემდებარება მკურნალობას;
- \*ე) ნაწლავთა არამყარი მოქმედება.

575. შაქრიან დიაბეტს ბავშვებში არ ახასიათებს:

- ა) პოლიდიფსია;
- ბ) პოლიურია;
- გ) ნიქტურია;
- დ) ანორექსია;
- ე) კანის სიმშრალე და ქავილი;
- ვ) წონაში დაკლება;
- ზ) გემოს გაუკუღმართება;
- \*თ) გასუქება.

576. ჰიპერგლიკემიურ კომას არ ახასიათებს:

- ა) ტაქიკარდია;
- ბ) გოქსიკური სუნთქვა;
- გ) ლებინება;
- დ) დეჰიდრატაცია;
- ე) აცეტონის სუნი პირიდან;
- \*ვ) გონების სწრაფი დაკარგვა.

577. ჰიპოგლიკემიურ მდგომარეობას არ ახასიათებს:

- ა) გულისრევა და ლებინება;
- ბ) ხელების კანკალი;
- გ) ოფლიანობა;
- დ) გონების დაბინდვა;
- ე) სიფემკრთალე
- ვ) კრუნჩხვა;
- \*ზ) უნებლიე შარდვა და ლეფეკაცია.

578. აღრენოკორტიკოტროპული ჰორმონის უკმარისობას არ ახასიათებს:

- ა) ჰიპოგლიკემია;
- ბ) ჰიპოტენზია;
- \*გ) ბრადიკარდია;
- დ) წონაში დაკლება.

579. ცერებრულ (ჰიპოფიზურ) გიგანტიზმს არ ახასიათებს:

- ა) კლინიკური გამოვლინება მეტწილად ემთხვევა პუბერტულ პერიოდს;
- ბ) სიმბალეში სწრაფი ზრდა;
- გ) მერყევი (მოუხერხებელი) სიარული;
- \*დ) სხეულის ნაწილების მკვეთრი დისპროპორცია;
- ე) ინტელექტის დაბალი კოეფიციენტი;

ვ) სისუსტე, სწრაფი დაღლა.

580. ჰიპოფიზურ ნაწიბმს არ ახასიათებს:

- ა) გამოვლინება 2-3 წლის ასაკში;
- ბ) სქესობრივი ინფანტილიზმი;
- გ) კანის ღანაოჭება (მოხუცის სახე);
- დ) ზრდის მკვეთრი შეჩერება;
- ე) ნეგატივიზმი;
- \*ვ) ოლიგოფრენია.

581. ღვიძლის ზომების ზრდა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულში განპირობებულია

- \*ა) ცხიმოვანი ჰეპატოზით;
- ბ) ჰეპატიტით;
- გ) ციროზით;
- დ) ყველა ჩამოთვლილით.

582. სისხლში გლუკოზის (სუფთა გლუკოზა) ნორმალური ბაზალური დონე შეადგენს მმოლ/-ლ-ში

- ა) 8.3 - 10.1;
- ბ) 6.2 - 9.3;
- გ) 2.7 - 5.5;
- დ) 3.8 - 6.7;
- \*ე) 3.3 - 5.5.

583. შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმა ხასიათდება ყველა ჩამოთვლილით, გარდა

- ა) კეტოაციდოზის;
- ბ) ლაბილური მიმდინარეობის;
- გ) სისხლძარღვოვანი გართულებების (რეგინოპათია, ნეფროპათია, ნეიროპათია);
- \*დ) კატარაქტის.

584. ყველაზე მცირე ანტიგენური თვისებით ხასიათდება

- ა) მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ინსულინი;
- \*ბ) ღორის ინსულინი;
- გ) ცხვრის ინსულინი;
- დ) ვეშაპის ინსულინი.

585. ინსულინით მკურნალობის შემთხვევაში დილის ჰიპერგლიკემიის პროფილაქტიკისათვის მიზანშეწონილია ყველა ჩამოთვლილი, გარდა

- \*ა) ხანმოკლე მოქმედების ინსულინის საღამოს დოზის გაზრდისა;
- ბ) დილის 6 სთ-ზე ხანმოკლე მოქმედების ინსულინის დამატებითი შეყვანისა;
- გ) ხანმოკლე მოქმედების ინსულინის საღამოს დოზის შეცვლა 12-სთ-ანი მოქმედების ინსულინით.

586. შაქრიანი დიაბეტის ინსულინოთერაპიის აბსოლუტური ჩვენებაა ყველა ჩამოთვლილი, გარდა შემდეგისა:

- ა) კეტოაციდოზი, პრეკომატოზური მდგომარეობები;
- ბ) ორსულობა, მშობიარობა;
- გ) კანის მძიმე დისკროფიული დაზიანებები (კარბუნკულები, ფურუნკულოზი, გროფიკული წყლულები, ნეკრობიოზი);
- დ) დიაბეტური გლომერულოსკლეროზის ნეფროსკლეროზული სტადია;
- \*ე) გულის იშემიური დაავადების გამწვავება.

587. ხანმოკლე მოქმედების (6-8 სთ) ინსულინებს განეკუთვნება ყველა ჩამოთვლილი, გარდა

- ა) უბრალო ინსულინისა;
- ბ) სუინსულინისა;
- გ) აქტრაპიდისა;
- \*დ) ლონგ-ინსულინისა.

588. დღის საათებში შეყვანილ ინსულინზე მოთხოვნილება საშუალოდ უდრის საღმრთაღამისო დოზის

- ა) 50%-ს

- \*ბ) 70%-ს;
- გ) 30%-ს;
- დ) 10%-ს;

589. სიმსუქნე შემდეგი დაავადების განვითარების რისკ-ფაქტორია 1). შაქრიანი დიაბეტი; 2). ათეროსკლეროზი; 3). თირკმლის კენჭოვანი დაავადება; 4). ნაღველ-კენჭოვანი დაავადება; 5). ქრონიკული გასტრიტი.

- ა) სწორია 1,2,3;
- ბ) სწორია 2,3,4;
- \*გ) სწორია 1,2,4;
- დ) სწორია 2,3,4;
- ე) სწორია 3,4,5.

590. სიმსუქნის განვითარებას ხელს უწყობს ყველა ალიმენტარული ფაქტორი, გარდა შემდეგისა:

- ა) მცირე ულუფებით ხშირი კალორიული კვება;
- \*ბ) მცენარეული საკვები პროდუქტის ჭარბი მიღება;
- გ) ნახშირწყლების ჭარბი მიღება;
- დ) ცხიმების ჭარბი მიღება.

591. ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ლიფუმურ ტოქსიკურ ჩიყვს ახასიათებს

- ა) გახლომა;
- ბ) მუღმივი გულისფრიალი;
- გ) საერთო ჰიპერჰიდროზი;
- დ) კიღურების კანკალი, კუნთოვანი სისუსტე;
- \*ე) ყველა ჩამოთვლილი.

592. ტოქსიკური კვანძოვანი ჩიყვის მკურნალობის ძირითადი მეთოდი 30 წლამდე ავადმყოფებში არის

- \*ა) ოპერაციული მკურნალობა;
- ბ) J131-ით მკურნალობა;
- გ) მერკაპთოლილით მკურნალობა;
- დ) კომბინირებული მკურნალობა მერკაპთოლილით და გლუკოკორტიკოიდებით.

593. ჰიპოთირეოზისათვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა შემდეგისა:

- ა) კანის საფარველის სიმშრალე;
- ბ) ყაბზობისაკენ მიდრეკილება;
- გ) ძილიანობა;
- დ) ბრაღიკარდია;
- \*ე) სხეულის მასის კლება.

594. კუშინგის დაავადებისათვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა შემდეგისა:

- ა) კიღურების განლევა;
- ბ) საჯდომის კუნთების ატროფია;
- გ) სტრიების არსებობა;
- დ) კისერზე კლიმაქტერული კუზის გაჩენა;
- \*ე) ბოქვენისა და იღლიების თმოვანი საფარველის გაცვენა.

595. სომატოტროპულ ჰორმონს არ გააჩნია

- ა) ლიაბეტოგენური;
- ბ) ცხიმის მობილიზაციის;
- გ) ანაბოლური;
- \*დ) კატაბოლური მოქმედება.

596. პირველადი ალდოსტერონიზმისთვის დამახასიათებელია 1). დაღებითი სინჯი ვეროშპირონზე; 2). ჰიპერკალიემია; 3). შეუცვლელი იკგ; 4). ჰიპოკალიემია.

- ა) სწორია 1,2;
- ბ) სწორია 2,3;
- \*გ) სწორია 1,4;
- დ) სწორია 2,4;

ე) სწორია 1,3.

597. კლიმაქტერულ პერიოდს შეიძლება თან ახლდეს ყველა ჩამოთვლილი სიმპტომი, გარდა შემდეგისა:

- ა) ალბი;
- \*ბ) შემცივნებები მაღალი ტემპერატურა;
- გ) გულის ტკივილები;
- დ) ჰაერის უკმარისობა;
- ე) ლიენცეფალური კრიზები.

598. კუშინგის დაავადების მძიმე ფორმისათვის დამახასიათებელია

- ა) პროგრესირებადი კუნთოვანი სისუსტე;
- ბ) ძვლების პათოლოგიური მოტეხილობები;
- გ) გულ-ფილტვის უკმარისობა;
- დ) მძიმე ფსიქიკური მოშლილობები;
- \*ე) ყველა ჩამოთვლილი.

599. ბიგუანიდების შესახებ პასუხი ყველა ჩამოთვლილი გარდა:

- \*ა) უკუნაჩვენებია ღიაბეგით დაავადებულ მსუქან პაციენტებში;
- ბ) ცნობილია, რომ მოქმედებს ციმეტიდინთან;
- გ) ჯანმრთელ პირებში ღილი ღობით მიღებისას იწვევს ჰიპოგლიკემიას;
- დ) პაციენტებში, თირკმლის ფუნქციის დაქვეითებით ზრდის ტუტე აცილოზის განვითარების რისკს;
- ე) ალკოჰოლთან ერთად მიღებისას ტოვებს მეტალის გემოს.

602. II ტიპის ღიაბეგის დროს შემთხვევათა რამდენ პროცენტში ვითარდება ღიაბეგური ნეფროპათია?

- ა) 80%;
- ბ) 60%;
- გ) 40%;
- \*დ) 20%;
- ე) 5%.

603. I ტიპის ღიაბეგის დროს შემთხვევათა რა პროცენტში ვითარდება ღიაბეგური ნეფროპათია?

- ა) 80%;
- ბ) 60%;
- \*გ) 40%;
- დ) 20%;
- ე) 5%.

604. ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან ღიაბეგისა და ღიაბეგის შესახებ რომელია მცდარი?

- ა) ღიაბეგის მკურნალობის საფუძველია ღიაბეგის დაცვა;
- \*ბ) ახალი მონაცემების მიხედვით ღიაბეგით დაავადებულმა პაციენტისათვის აუცილებელი არ არის შეზღუდული მარგივი კარბოჰიდრატების შეცველი ტკბილეულის და საკვების მიღება.
- გ) ინსულინოთერაპიის დროს პაციენტი საკვებს უნდა ღებულობდეს დღეში სამჯერ ერთსა და იმავე დროს.
- დ) ინსულინოთერაპიის დროს პაციენტი საკვებს უნდა ღებულობდეს ხშირ-ხშირად, მცირე ულუფებით.
- ე) ინსულინოთერაპიის დროს პაციენტი უნდა ღებულობდეს კალორიებს ფიქსირებული რაოდენობით.

605. როგორია ინსულინის საშუალო საწყისი დოზა ახლად დიაგნოსტირებული ღიაბეგის შემთხვევაში?

- ა) 2-4 ერთ.;
- ბ) 6-8 ერთ.;
- გ) 10-12 ერთ.;
- \*დ) 15-20 ერთ.;
- ე) 20-30 ერთ.

607. II ტიპის შაქრიანი ღიაბეგის შემთხვევაში:

- ა) პაციენტთა უმრავლესობა ექიმს გამოვლენილი სიმპტომებით მიმართავს.
- \*ბ) პაციენტთა უმრავლესობას დიაგნოზის დასმისას არ აღენიშნებათ სიმპტომები, გარდა ჭარბი წონისა;
- გ) პაციენტთა უმრავლესობაში ღიაბეგი კონტროლირდება ღიაბეგითა და ვარჯიშით.
- დ) პაციენტების უმრავლესობას არ უვითარდება გართულებები;

ე) პაციენტთა უმრავლესობის ასაკი 40-ს არ აღემატება.

608. II გიპის შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში, თუ იგი ახალგაზრდა ასაკში დაიწყო:

- ა) პაციენტების სხეულის წონა ჩვეულებრივ ნორმალური ან ნორმაზე ნაკლებია;
- ბ) ლაავადებას აქვს აუტოსომურ-დომინანტური ხასიათი;
- გ) ამ გიპის დიაბეტი უვითარდებათ ღვიძლი და-ძმების 50%-ს;
- \*დ) სწორია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი;
- ე) არცერთი ჩამოთვლილი არაა სწორი.

609. ბავშვებში შაქრიანი დიაბეტის მიმდინარეობას ჩვეულებრივ ახასიათებს:

- ა) ზრდის შეფერხება;
- ბ) წონის დაკლება;
- გ) ფსიქიატრიული ავადობის რისკის გაზრდა;
- დ) მიკროვასკულარული პათოლოგიები;
- \*ე) ზრდის შეფერხება; წონის დაკლება; მიკროვასკულარული პათოლოგიები;
- ვ) ზრდის შეფერხება; მიკროვასკულარული პათოლოგიები;

610. დიაბეტი მოხუცებში:

- ა) 60იან 70იან წლებში დიაგნოსტირებული დიაბეტი არ მოქმედებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე;
- ბ) დამახასიათებელი ნიშანია ვულვის ქავილი;
- გ) დაკავშირებულია კატარაქტის განვითარების რისკის მომატებასთან;
- \*დ) დამახასიათებელი ნიშანია ვულვის ქავილი; დაკავშირებულია კატარაქტის განვითარების რისკის მომატებასთან;
- ე) არც ერთი ჩამოთვლილი არაა სწორი.

612. ჰიპოთირეოიდიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- ა) მენორაგია;
- ბ) ასციტი;
- გ) ცერებრალური აგაქსია;
- დ) ნორმოქრომული ანემია;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

სისხლის სისტემის დაავადებები

613. ქრონიკული დაავადებების დროს რა არის ანემიის ყველაზე ხშირი მიზეზი?

- ა) ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა;
- \*ბ) თირკმლის ქრონიკული უკმარისობა;
- გ) გულის შეგუბებითი უკმარისობა;
- დ) აუტოიმუნური დაავადება;
- ე) ქრონიკული ნევროლოგიური დაავადება.

614. ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან ფოლის მკაფას დეფიციტის შესახებ რომელია მცდარი

- ა) ფოლის მკაფას დეფიციტი მიგვანიშნებს მაკროციტულ ანემიაზე;
- ბ) პერიფერიული სისხლის ნაცხში ხშირად ნახულობენ ჰიპერსეგმენტირებულ ნეიტროფილებს;
- გ) ფოლის მკაფას დეფიციტის ყველაზე ხშირი მიზეზია საკვებში მისი ნაკლებობა;
- \*დ) ფოლის მკაფას დეფიციტი იშვიათია იმ პაციენტებში, რომლებიც ჭარბად ღებულობენ ალკოჰოლს;
- ე) ფოლის მკაფას დონის დაქვეითება ჩვეულებრივ ვლინდება ერიტროციტებში და პლაზმაში.

616. ელენთის ფუნქციებს განეკუთვნება

- ა) ანგისხეულების წარმოქმნა;
- ბ) სისხლის უჯრედების სეკვესტრაცია;
- გ) ძვლის ტვინში სისხლწარმოქმნის დათრგუნვა;
- \*დ) ყველა ჩამოთვლილი.

618. ქალებში რკინადეფიციტური ანემიის განვითარების მიზეზები შეიძლება უშუალოდ დაუკავშირდეს ანამნეზურ მონაცემებს

- ა) კუჭის რეზექცია;



- \*ბ) მშობიარობების მაღალი სიხშირე;
- გ) ნეფრექტოზია;
- დ) ჰიპოსეკრეტორული გასტრიტი.

622. ართრალგიური სინდრომი არაიშვიათად წარმოადგენს ყველაზე ადრეულ გამოვლინებას შემდეგი დაავადებისა

- \*ა) ჰემოლიზური ანემიისა;
- ბ) მრავლობითი მიელომისა;
- გ) მწვავე პორფირიისა;
- დ) ერთრემიისა.

625. ელს-ის შენელებისას (< 3 მმ/ სთ-ში ნაკლები) უნდა ვივარაუდოთ

- ა) კრიოგლობულინემიის;
- ბ) გოშეს დაავადების;
- \*გ) ერთროციტოზის;
- დ) თალასემიის არსებობაზე;
- ე) გოშეს დაავადების; ერთროციტოზის;

628. "ანგიგენი" არის

- ა) ბაქტერია ან ვირუსი;
- ბ) ცილები;
- \*გ) იმუნური პასუხის გამომწვევი ნებისმიერი ნივთიერება;
- დ) პოლისაქარიდები.

629. ლეიკოზების კლასიფიკაცია ემყარება

- ა) დაავადების კლინიკური სურათის;
- ბ) ანამნეზურ მონაცემებს;
- \*გ) დაავადების უჯრედოვანი სუბსტრატის სიმწიფის ხარისხს;
- დ) ავადმყოფის სიცოცხლის ხანგრძლივობას;
- ე) მიმდინარე თერაპიის ეფექტურობას.

630. მწვავე ლეიკოზზე ეჭვისას აუცილებელია ჩაგარდეს

- ა) ლიმფური კვანძის ბიოფსია;
- \*ბ) სტერნალური პუნქცია;
- გ) ელენთის პუნქცია;
- დ) რეგიკულოციტების რაოდენობის განსაზღვრა.

632. ქალებში რკინაღებულობითი ანემიის მიზეზი შეიძლება იყოს ყველა ჩამოთვლილი, გარდა

- ა) უხვი და ხანგრძლივი მენსტრუალური სისხლდენისა;
- ბ) რანდიუ-ოსლერის ავადმყოფობისა;
- გ) ჰემოროისა;
- დ) კუჭ-ნაწლავის გრაქტის სიმსივნისა;
- \*ე) ქრონიკული გასტრიტისა დაქვეითებული სეკრეციით.

633. ორსულ ქალში რკინაღებულობითი ანემიის მიზეზი შეიძლება იყოს

- \*ა) ადრე არსებული რკინის ლაგენგური ღებულობა;
- ბ) მრავალნაყოფიანი ორსულობა;
- გ) ტოდ სისტემის მიხედვით მეულესთან შეუთავსებლობა.

634. რკინაღებულობითი ანემიის მკურნალობის ძირითადი პრინციპებია

- ა) მთლიან სისხლის დროული გადასხმა;
- ბ) ინტრავენურად რკინის პრეპარატების ხანგრძლივი შეყვანა;
- გ) სისხლდენის კერის ლიკვიდაცია (წყლული, სიმსივნე, ანთება);
- დ) პერორალურად რკინის პრეპარატების ხანგრძლივი მიღება;
- \*ე) სისხლდენის კერის ლიკვიდაცია (წყლული, სიმსივნე, ანთება) და პერორალურად რკინის პრეპარატების ხანგრძლივი მიღება;

635. რკინის ლეფიციგის მკურნალობა გულისხმობს

- ა) ინტრავენურად რკინის პრეპარატების შეყვანის და ხორციანი ლიეგის ღაცვა;
- ბ) ინტრავენურად რკინის პრეპარატებისა და კანქვეშ B ჯგუფის ვიტამინების შეყვანას;
- გ) ეროციტარული მასის რეგულარული გრანსფუმიებს და ხილით მდიდარი ლიეგის ღაცვას;
- \*დ) რკინის პრეპარატების პერორალური ხანგრძლივი მიღება.

636. რკინაღეფიციგური ანემიის მკურნალობის პერიოდში სწორი რეკომენდაციებია

- ა) ვეგეტერიანული ლიეგა ვაშლის, სტაფილოს, ბროწეულის, ნიგეზის უხვი რაოდენობით;
- ბ) ხიმილალის, ხორცის, ფრინველის, თეთრი თევზის ყოველდღიური მიღება;
- გ) ყოველდღიურ რაციონში 300 გრ-ღე ძროხის ღვიძლის პაშტეგის მიღება;
- \*ღ) რკინის პრეპარატების პერორალურად ხანგრძლივი მიღება.

637. ორსული ქალისათვის ქრონიკული რკინაღეფიციგური ანემიის შემთხვევაში აუცილებელია

- \*ა) მშობიარობამღე ღა ღაქტაციის მთელი პერიოდში მიიღოს რკინის პრეპარატები;
- ბ) კეების რაციონში შეიგანოს წითელი თევზი, ბროწეული, სტაფილო;
- გ) მშობიარობამღე გადაეხას ერითროციტული მასა;
- ღ) ინტრავენურად შეყვანილ იქნა ფერრუმ ლეკი.

638. ტყვიით მოწამელის დამახასიათებელი კლინიკური სიმპტომებია

- ა) სიყვითლე;
- \*ბ) ღრძილებზე ნაცრისფერი არშია;
- გ) სისხლი განავალში;
- ღ) თირკმლის ჭვალი.

639. პირდაპირი მოქმელების ანტიკოაგულანტებს მიეკუთვნება

- ა) ფენილინი;
- \*ბ) ჰეპარინი;
- გ) ახლადგაყინული პლაზმა;
- ღ) ტიკლიდი;
- ე) ამინოკაპრონის მქავა.

640. არაპირდაპირი მოქმელების ანტიკოაგულანტებს მიეკუთვნება

- \*ა) ფენილინი;
- ბ) ჰეპარინი;
- გ) ახლადგაყინული პლაზმა;
- ღ) ტიკლიდი;
- ე) ამინოკაპრონის მქავა.

641. ანტიაგრეგანტებს განეკუთვნება

- ა) ფენილინი;
- ბ) ჰეპარინი;
- \*გ) ტიკლიდი ღა გრენგალი;
- ღ) ამინოკაპრონის მქავა.

645. ჰემოლიზური კრიზის კლინიკური ნიშნებია

- \*ა) კანის ყვითელი შეფერილობა;
- ბ) შეშუპებები;
- გ) პირის სიმშრალე;
- ღ) შარდის გამუქება.

646. წამლისმიერ ნეიგროპენიას არ ახასიათებს:

- ა) მწვავე დასაწყისი, შემცივნება;
- ბ) ლორწოვანი გარსების (პირის ღრუს, სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის) წყლულები;
- გ) კანის ინფექცია ღა პნევმონია;
- ღ) სეფსიური ცხელება;
- \*ე) ჩირქოვანი ექსულაცია, პიემიური კერები.

647. ავთვისებიან აგრანულაციტოზს პერიფერიულ სისხლში არ ახასიათებს:

- ა) ნეიტროფილების რაოდენობა 1 000 და ნაკლები;
- \*ბ) ანემია, თრომბოპენია;
- გ) მონოციტოზი;
- დ) ეოზინოფილია.

654. ლიმფოგრანულემატოზის ქვემოაღნიშნული მახასიათებლებიდან რომელია არასწორი?

- ა) 5 წლის ასაკამდე ბავშვები იშვიათად ავადდებიან;
- ბ) ყველაზე მუდმივი ნიშანია კისრის ლიმფური ჯირკვლების გადიდება;
- \*გ) ცხელება და ღამით ოფლიანობა არ აღინიშნება;
- დ) დაავადება უნდა ივარაუდონ, როდესაც ვლინდება აუხსნელი გენეზისის პერსისტირებული ლიმფადენოპათია.

657. ვერლჰოფის დაავადების მანიფესტაციას არ ახასიათებს:

- ა) გაურთულებელ შემთხვევებში ავადმყოფის კარგი ზოგადი მდგომარეობა;
- ბ) ჰემორაგიული გამონაყარი კანსა და ლორწოვან გარსებზე;
- გ) ელენთის პალპაციის შესაძლებლობა შემთხვევათა 10%-ში;
- დ) კისრის ჯირკვლებით შემოფარგლული არამკვეთრი ლიმფადენოპათია;
- \*ე) გამობაგული ჰეპატომეგალია;
- ვ) მიდრეკილება სისხლჩაქცევებისადმი გრავმის ადგილებში.

659. ვერლჰოფის დაავადებას არ ახასიათებს:

- ა) პერიფერიული სისხლში თრომბოციტების რიცხვის მკვეთრად დაკლება;
- ბ) სისხლის ნაცხში დიდი ზომის თრომბოციტების (მეგათრომბოციტების) წარმოქმნა;
- გ) სისხლის ღენის დროისა და კოლგის რეტრაქციის ღარღვევა;
- \*დ) როგორც წესი, ანემიის გამოვლენა ლეიკოციტოზითა და მარცხნივ გადახრით.

660. რომელი გართულება არ ახასიათებს ვერლჰოფის დაავადებას?

- ა) სისხლის ღენა ცხვირიდან, პირის ღრუს ლორწოვანიდან და ღრძილებიდან;
- ბ) ჰემატურია და მელენა;
- გ) სისხლჩაქცევები შინაგან ორგანოებში;
- დ) სისხლჩაქცევები თავისა და ზურგის გვინში;
- \*ე) ჰემატომები ღრმა კუნთოვან ქსოვილებში.

ნერვული სისტემის დაავადებები

663. თავის გვინის სიმსივნეებს ახასიათებს:

- ა) ღებინება ჭამის შემდეგ;
- \*ბ) ღებინება უმძიმე, თავის ტკივილი, განსაკუთრებით დილით;
- გ) მენინგიალური სიმპტომები;
- დ) თავის ტკივილი, რომელიც მცირდება ღებინების შემდეგ.

664. სეროზული მენინგიტის საწყის სიმპტომს მიეკუთვნება:

- ა) თავის ტკივილი, ღებინება ნორმალური ტემპერატურის დროს;
- ბ) თაბრუსხვევა და ღებინება;
- გ) ტემპერატურის მომატება, კატარული მოვლენები;
- \*დ) ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, ღებინება.

665. ვირუსული ეტიოლოგიის სეროზულ მენინგიტს მკურნალობენ:

- ა) ანტიბიოტიკებით და სადეჰიდრატაციო საშუალებებით;
- \*ბ) სიმპტომური და სადეჰიდრატაციული საშუალებებით;
- გ) პლასმის შემცვლელიებით;
- დ) მხოლოდ ანტიბიოტიკებით.

666. ჩირქოვან მენინგიტს ახასიათებს:

- ა) მრავალჯერადი ღებინება;
- \*ბ) ტემპერატურის მომატება, შემცივნება, თავის ტკივილი, ღებინება;
- გ) მოუსვენრობა, პერიოდული სისუსტე, ჰიპერსთეზიები;

დ) სიელმე, ნისგაგმი, სუნთქვითი არიგმია, კოლაპსი.

667. ბილირუბინული ენცეფალოპათია ვლინდება:

- \*ა) ჰიპერკინეზული პარეზით;
- ბ) ორმაგი ჰემიპლეგიური პარეზით;
- გ) სპასტიკურ-ასგაგიური პარეზით.

668. ენცეფალიტი უმეტესად ვითარდება:

- \*ა) გრიპის და აღენოვირუსული ინფექციის დროს;
- ბ) წითელას, ჩუტყვავილას, წითურას დროს;
- გ) ღიზენტერიის დროს;
- დ) პაროტიტის დროს.

669. ქორეას არ ახასიათებს:

- ა) ჰიპერკინეზები;
- ბ) კუნთთა ჰიპოტონია;
- \*გ) დამბლა;
- დ) კოორდინაციის მოშლა.

670. რევმატიული ქორეის დიფერენცირება არ არის საჭირო:

- ა) ლოკალურ გიკომთან;
- ბ) გავრცელებულ ჰიპერკინეზებთან;
- გ) აკვიატებულ ნევროზთან;
- \*დ) მენინგიტთან.

671. სისტემური წითელი მგელურას დროს ნერვული სისტემის დაზიანება უმეტესად ვლინდება:

- ა) მენინგიტით;
- \*ბ) პოლირადიკულონევრიტით;
- გ) ენცეფალიტით;
- დ) მენინგოენცეფალიტით.

672. რევმატიულ ქორეას არ ახასიათებს:

- \*ა) მენინგიალური სიმპტომები;
- ბ) კოორდინაციის დარღვევა;
- გ) კუნთთა ჰიპოტონია;
- დ) ემოციური სტატუსის შეცვლა;
- ე) ჰიპერკინეზები.

673. ვეგეტოლისტონიის ვაგოტონიურ ტიპს არ ახასიათებს:

- ა) ჰიპერჰიდროზი;
- ბ) წითელი, მღვრადი ღერმოგრაფიზმი;
- გ) გულის წასვლა;
- \*დ) არტერიული წნევის მომატება.

674. სიმპათიკოტონიას ახასიათებს:

- \*ა) თეთრი ღერმოგრაფიზმი;
- ბ) ბრადიკარდია;
- გ) ვესტიბულური დარღვევების გამოვლენა გრანსპორტში;
- დ) სისხლძარღვოვანი ჰიპოტონია.

675. სიმპათიკოტონიას არ ახასიათებს:

- ა) მიდრეკილება არტერიული ჰიპერტონიისადმი;
- ბ) მიდრეკილება ტაქიკარდიისადმი;
- \*გ) ბრადიკარდია;
- დ) თეთრი ღერმოგრაფიზმი.

676. ვეგეტოლისტონია შედეგია:

- ა) ნევროზის;
- ბ) რემილუალური პერინაგალური პათოლოგიის;
- გ) კონსტიტუციური თავისებურების;
- დ) სომატური პათოლოგიის;
- \*ე) ყველა ზემოხაზოთვლილის;
- ვ) ნევროზის; რემილუალური პერინაგალური პათოლოგიის;

680. ჰიპერტენზიულ-ჰიდროცეფალურ სინდრომს არ ახასიათებს:

- ა) ორალური ავტომატიზმის გაძლიერება;
- ბ) ქვედა ყბისა და კიბურების კანკალი;
- გ) ზომიერი ეგზოფთალმი, გრეფეს და "მზის ჩასვლის" სიმპტომი;
- \*დ) ყიფლიბანდი ჩაგარდნილია, არ პულსირებს;
- ე) კისრის გამძლეულ კუნთთა ჰიპერტონუსი თავის უკან გადახრით.

681. კრუნჩხვას არ იწვევს:

- \*ა) ჰიპონატრიემია;
- ბ) ჰიპოკალციემია;
- გ) ჰიპომაგნიემია;
- დ) ჰიპოგლიკემია;
- ე) B 6 ვიტამინის დეფიციტი.

682. ტეტანის (ჰიპოკალციემიურ კრუნჩხვას) არ იწვევს:

- ა) ჰიპოპარათირეოზი;
- ბ) ჰიპომაგნიემია კალციუმის ნორმალური შემცველობის ფონზე;
- გ) მეტაბოლური ალკალოზი;
- \*დ) მეტაბოლური აციდოზი.

684. ჰიპოკალციემიურ კრუნჩხვას არ ახასიათებს:

- ა) მოროს რეფლექსის სპონტანური გამოვლინება;
- \*ბ) მყესთა რეფლექსების გაქრობა;
- გ) ხვოსტეკის ნიშნის (ჩაქუჩის ღარცემის საპასუხოდ გარეთა სასმენი ხვრელის წინ სახის კუნთების შეკუმშვა) გამოვლინება;
- დ) ტრუსოს ნიშნის ("მეანის ხელის" განვითარება მხარზე ლახტის რამდენიმე წუთით გადაჭერისას) გამოვლინება.

686. ცვლილებები თავ-ბურგის ტვინის სითხეში არ გამოვლინდება:

- ა) სუბლურული ჰემატომის დროს;
- ბ) სუბარაქნოიდული ჰემატომის დროს;
- გ) პარაკუჭთაშიგა სისხლჩაქცევის შემთხვევაში;
- \*დ) ეპიდურული სისხლჩაქცევის შემთხვევაში.

687. ინტრაცერებრულ სისხლჩაქცევას ახასიათებს:

- \*ა) მონო-და ჰემიპარეზი;
- ბ) კრუნჩხვა;
- გ) სიელმე;
- დ) ნისტაგმი;
- ე) ყლაპვის მოშლა.

688. პარაკუჭშიგა სისხლის ჩაქცევას არ ახასიათებს:

- ა) ვეგეტატიური ფუნქციების მკვეთრი მოშლა და თერმორეგულაციის დარღვევა;
- ბ) მძიმე კომური მდგომარეობა;
- გ) ტონური კრუნჩხვა ოპისტოკონუსით;
- \*დ) უპირობო რეფლექსების შენარჩუნება;
- ე) ანიზოკორია, ნისტაგმი.

690. თანდაყოლილ ჰიდროცეფალიას არ ახასიათებს:

- ა) ბავშვის დაბადებისას თავის დიდი გარშემოწერილობა;
- ბ) ყიფლიბანდის ზომების მაგება და ნაკერების გახსნა;

- \* გ) კლონური კრუნჩხვა;
- დ) "ჩამავალი მზის" სიმპტომი;
- ე) თავის ქალას პერკუსიისას კოლოფისებრი ("გაბზარული ქოთნის") ხმა;

694. თავის გვინის თიაქრის ქვემოაღნიშნული მახასიათებლებიდან რომელია არასწორი:

- ა) უფრო ხშირად ლოკალიზებულია კეფისა და შუბლის წილებში;
- ბ) პალპაციით უმტკივნეულოა;
- \* გ) პულსაცია არ შეიგრძნობა;
- დ) ბევრლამ შეიძლება გამოიწვიოს კრუნჩხვა.

695. ბავშვთა ცერებრული დამბლის ქვემოაღნიშნული მახასიათებლებიდან რომელია არასწორი:

- ა) დაავადება ბავშვთა ინვალიდობის ერთ-ერთი ხშირი მიზეზია;
- \* ბ) ყველა შემთხვევაში ვლინდება მკვეთრი გონებრივი ჩამორჩენა;
- გ) დაავადება შეიძლება გამოიწვიოს გვინის დაზიანებამ მუცლადყოფნის, ინტრანატალურ ან აღრეულ პოსტნატალურ პერიოდებში;
- დ) ასოცირებული მოშლილობა შეიძლება გამოიხატოს ეპილეფსიით, ორთოპედიული დეფორმაციით, მეტყველებისა და ფსიქიკური განვითარების შეფერხებით.

698. ენცეფალიტს არ ახასიათებს:

- ა) მწვავე დასაწყისი ცხელებით, ღებინებითა და თავის ტკივილით;
- ბ) თავის გვინის კეროვანი დაზიანების სიმპტომატიკა;
- გ) კრუნჩხვა;
- \* დ) სპეციფიკური ცვლილებები სისხლსა და ლიქვორში.

699. პოლიომიელიტის მენინგიალურ ფორმას არ ახასიათებს:

- ა) ღებინება;
- ბ) თავის ტკივილი;
- გ) კეფის კუნთების რიგილობა;
- დ) კერნიგის სიმპტომი;
- ე) ბრუძინსკის სინდრომი;
- ვ) ზოგადი ჰიპერესთეზია;
- \* გ) აგროფიული დამბლა.

701. ჩირქოვანი მენინგიტის ეტიოლოგიური ფაქტორი არ არის:

- ა) სტრეპტოკოკი;
- ბ) სტაფილოკოკი;
- გ) მენინგოკოკი;
- დ) ნაწლავის ჩხირი;
- ე) სალმონელა
- ვ) კანდიდა;
- \* გ) ვირუსები.

702. ჩირქოვანი მენინგიტს არ ახასიათებს:

- ა) თავისა და მუცლის ტკივილი, განმეორებითი ღებინება;
- ბ) კისრის კუნთების რიგილობა, კერნიგისა და ბრუძინსკის დაღებითი სიმპტომები;
- \* გ) კეროვანი დაზიანების სიმპტომატიკა;
- დ) ოპისტოტონუსი.

703. ჩირქოვანი მენინგიტის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად არ შეიძლება მივიჩნიოთ:

- ა) თანდაყოლილი ჰიდროცეფალია;
- ბ) მენინგომიელოცელე;
- გ) თანდაყოლილი იმუნოდეფიციტი;
- \* დ) დიდი თალასემია;
- ე) ლოკალური ინფექცია (სინუსიტი, მასტოიდიტი, ენდოკარდიტი და სხვ.).

704. ჩირქოვანი მენინგიტის დროს თავ-ზურგის გვინის სითხეში არ აღინიშნება:

- ა) მღვრიე, ზოგჯერ მომწვანო-ყვითელი ფერის ლიქვორი;

- \*ბ) ლიქვორში შაქრის შემცველობის მომატება;
- გ) ცილის შემცველობის მომატება 0,66-1,0 გ/ლ-მდე;
- დ) მკვეთრად გამომხატული (2 000-3 000) ნეიგროფილური ციგობი.

705. სეროზულ მენინგიტს არ ახასიათებს:

- ა) ლაავადების უფრო ხშირად იწვევს ეპილემიური პაროტიტის ვირუსი და ენცეროვირუსები;
- ბ) მძიმე ინტოქსიკაციის ნიშნები არ ვლინდება;
- გ) აღინიშნება მენინგიალური ნიშნების შერწყმა თავისა და ზურგის ტვინის კეროვანი დაზიანების სიმპტომებთან;
- \*დ) პირამიდული სიმპტომატიკა (ატაქსია, სახის ასიმეტრია, ენის ლევიაცია) არ ვლინდება.

706. ტვინის შერყევის მსუბუქ ფორმას არ ახასიათებს:

- ა) გულისრევა, ლებინება, თავის ტკივილი ღლე-ღამის განმავლობაში გრავემის მიღების მომენტიდან;
- ბ) გონების ხანმოკლე დაკარგვა, ზოგ შემთხვევაში აღინაზნა და მოლუნება;
- \*გ) ლოკალური დაზიანების სიმპტომატიკა;
- დ) ქალასშიგა ჰიპერტენზიისა და თვალის ფსკერზე ცვლილებების არარსებობა.

707. ტვინის შერყევის მძიმე ფორმას არ ახასიათებს:

- ა) ლებინება;
- ბ) თავის ძლიერი ტკივილი;
- გ) გონების დაკარგვა;
- დ) ამნეზია;
- ე) ანიზოკორია
- ვ) ჰორიზონტალური ნისტაგმი;
- \*ზ) არეფლექსია;
- თ) ქალასშიგა ჰიპერტენზია.

709. ნახშირბადის ოქსიდით მწვავე სხვადასხვა მდგომარეობისას კანი ხდება

- ა) მკრთალი;
- ბ) ციანოზური;
- \*გ) ვარდისფერი;
- დ) მოყვითალი.

710. აღრეული ასაკის ბავშვებში გენერალიზებული კრუნჩხვის უხშირესი მიზეზია:

- ა) ჩირქოვანი მენინგიტი;
- ბ) მწვავე მოწამვლა;
- \*გ) ენცეფალოპათიური რეაქცია ვირუსულ ინფექციაზე;
- დ) ეპილეფსია.

711. ჩვილ ბავშვებში კრუნჩხვას უმეტესად იწვევს:

- ა) ეპილეფსია;
- ბ) ტვინის სიმსივნე;
- გ) სისხლჩაქცევა ტვინში;
- \*დ) ჰიპერთერმია.

712. კრუნჩხვის შემთხვევაში პირველი დახმარებისთვის იყენებენ:

- \*ა) სელექსენს (დიაზეპამს);
- ბ) ლაზიქსს;
- გ) პრედნიზოლონს.

713. თუ ჰოსპიტალიზაციამდე სელექსენმა არ მოხსნა კრუნჩხვა, საჭიროა:

- ა) სწრაფი მოქმედების ბარბიტურატების შეყვანა ინტრავენურად;
- ბ) ნატრიუმოქსიბუტირატის შეყვანა ინტრავენურად;
- გ) ამინაზინისა და პიპოლფენის შეყვანა;
- \*დ) სელექსენის განმეორება.

715. ავადმყოფს მოგორული აფაზიით

- \*ა) გაეგება წინადადების მნიშვნელობა, მაგრამ არ შეუძლია ლაპარაკი;

- ბ) არ გაეგება და არ შეუძლია ლაპარაკი;
- გ) ლაპარაკი შეუძლია, მაგრამ არ გაეგება მისდამი მიმართვა;
- დ) შეუძლია ლაპარაკი, მაგრამ მეტყველება აქვს სკანდირებული.

716. წამლისმიერი პოლინეიროპათიის მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი პრეპარატების მოქმედება

- ა) ციტოსტატიკური;
- ბ) ჰიპოტენზიური;
- გ) ტუბერკულოზის საწინააღმდეგო;
- \*დ) ციტოსტატიკური; ტუბერკულოზის საწინააღმდეგო;
- ე) ციტოსტატიკური; ჰიპოტენზიური;

718. სამწვერა ნერვის ნევრალგიის პათოგენური თერაპიის ეფექტურ საშუალებად ითვლება

- ა) ანალგეტიკები;
- ბ) სპაზმოლიზური საშუალებები;
- \*გ) კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალებები;
- დ) ყველა ჩამოთვლილი.

719. თავის ტვინის აბსცესის არსებობაზე ეჭვი ჩნდება

- ა) ქალასშიდა ჰიპერტენზიის გაძლიერებისას;
- ბ) კეროვანი ნევროლოგიური სიმპტომატიკის გაჩენისას;
- გ) თავის ტვინის პათოლოგიის ზოგადი მოვლენების დროს;
- დ) ქალასშიდა ჰიპერტენზიის გაძლიერებისას; კეროვანი ნევროლოგიური სიმპტომატიკის გაჩენისას;
- \*ე) ყველა შემთხვევაში.

720. კისრის ოსტეოქონდროზის დროს ყველაზე ხშირად ბიანდება არტერია

- ა) ძირითადი;
- \*ბ) მალეების;
- გ) შიგნითა საძილე;
- დ) გარეთა საძილე;
- ე) კეფის.

723. თავის ტვინის სისხლისმიმოქცევის გარდამავალი მოშლის დიაგნოზი დაისმება მაშინ, თუ კეროვანი ცერებრული სიმპტომატიკა განიცდის სრულ რეგრესს არა უგვიანეს

- \*ა) 1 დღე-ღამისა;
- ბ) ერთი კვირისა;
- გ) ორი კვირისა;
- დ) სამი კვირისა;
- ე) ერთი თვისა.

724. ტვინის სისხლის მიმოქცევის უკმარისობის საწყისი გამოვლინებების დროს ფარმაკოთერაპია გარდება შემდეგი მიზნით

- ა) ცერებრული ჰემოდინამიკის გაუმჯობესება;
- ბ) ტვინის მეტაბოლიზმის გაუმჯობესება;
- გ) კეროვანი ცერებრული სიმპტომატიკის რეგრესი;
- დ) ყველა ჩამოთვლილის მიღწევა;
- \*ე) ცერებრული ჰემოდინამიკის გაუმჯობესება; ტვინის მეტაბოლიზმის გაუმჯობესება;

726. იშემიური ინსულტის კერის ტვინშიდა "გაქურდვა" ვამოდილაგატორების შეყვანის შემდეგ ვითარდება:

- ა) კერაში სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის დარღვევის შედეგად;
- ბ) ტვინის დაზიანებული უბნის სისხლძარღვების სპაზმის შედეგად;
- გ) ტვინის დაზიანებული ნაწილების სისხლძარღვების სპაზმის შედეგად;
- \*დ) ტვინის დაზიანებული ნაწილების ჯანსაღი სისხლძარღვების გაფართოების შედეგად;
- ე) არტერიო-ვენური ანასტომოზების გახსნის შედეგად.

727. ტვინის სისხლძარღვების თრომბოზისათვის ყველაზე დამახასიათებელია

- ა) ანამნეზში გრანზიტორული იშემიური შეტევების არსებობა;
- ბ) მომასწავებელი სიმპტომების არსებობა;



- \* გ) კეროვანი სიმპტომატიკის თანდათანობითი ფორმირება;
- დ) ზოგადი გვინისმიერი სიმპტომატიკის ნაკლები გამოხატულება.

729. იშემიური ინსულტის დროს ანგიოკოაგულანტების დანიშვნას არა აქვს უკუჩვენებები

- \* ა) რევმატიზმის;
- ბ)  $>200 / 100$  მმ ვწ/ არტერიული წნევის;
- გ) ღვიძლის დაავადებების.
- დ) კუჭის წყლულოვანი დაავადების;
- ე) თრომბოციტოპათიის არსებობისას.

730. პარენქიმულ-სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის აუცილებელი სიმპტომია

- ა) ცნობიერების დაკარგვა;
- \* ბ) სისხლიანი ლიქვორი;
- გ) შუალედური ექო-სიგნალის გადანაცვლება;
- დ) კონტრალატერალური ჰემიპარეზი;
- ე) ყველა ჩამოთვლილი.

731. ჰიპერტონული სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის აუცილებელი ნიშანია

- ა) ცნობიერების დაკარგვა;
- ბ) გუგის მოშლილობა;
- გ) ნისტაგმი;
- \* დ) მენინგეალური სინდრომი;
- ე) ორმხრივი პირამიდული პათოლოგიის ნიშნები.

733. სამწვერა ნერვის ნევრალგიით დაავადებულს აქვს დამახასიათებელი ჩივილები

- ა) მუღმივი შემადონებელი ტკივილები სახის ნახევარ მხარეზე;
- \* ბ) სახეზე მსუბუქი მიკარებით პროვოცირებული ინტენსიური ტკივილების ხანმოკლე პაროქსიზმები;
- გ) ტკივილების გაძლიერება თვალების, ყბების, კბილების მიდამოებში, რომელსაც თან ახლავს ცრემლ- და ნერწყვფენა;
- დ) ხანგრძლივი ტკივილები თვალის ორბიტების, თვალის კუთხეების არეში, რომელსაც თან ახლავს მხედველობის დარღვევები.

734. მენინგიტის დიაგნოსტიკისათვის გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს

- ა) დაავადების მწვავე დასაწყისს ტემპერატურის მომატებით;
- ბ) დაავადების მწვავე დასაწყისს მენინგეალური სინდრომით;
- \* გ) ბურგის გვინის სითხის ცვლილებებს;
- დ) ინფექციურ-ტოქსიური შოკის სინდრომის მიერთებას.

736. წინ გაშლილი ხელების გრემორი:

- ა) ჩვეულებრივ ექვემდებარება პროპრანოლოლით მკურნალობას;
- ბ) ხშირად აქვს ოჯახური ხასიათი და კეთილთვისებიანია;
- გ) შეიძლება გაუარესდეს აგზნების შედეგად.
- დ) უმჯობესდება პირიმიდონის მიღების ფონზე;
- \* ე) პასუხი ყველა ჩამოთვლილი.

737. შაკიკი

- ა) უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში;
- \* ბ) ფრო ხშირია პაციენტებში, აღნიშნული დაავადების ოჯახური ანამნეზით;
- გ) უფრო გავრცელებულია დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფენის პაციენტებში;
- დ) უფრო ხშირია ქალაქის, ვიდრე სოფლის მცხოვრებლებში;
- ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

739. შაკიკის მაპროვოცირებელი ფაქტორებია:

- ა) სტრესი;
- ბ) ზედმეტი ძილიანობა;
- გ) გარკვეული საკვები და ალკოჰოლი;
- დ) ამინდის ცვლილება;

\*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

740. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია პარკინსონის დაავადებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშანი?

- ა) ორთოსტატიული ჰიპოტენზია;
- ბ) ლეპრესია;
- გ) სიარულის მოშლა;
- \*დ) ტრემორი;
- ე) რიგილობა.

741. სად ლოკალიზდება პათოლოგიური პროცესი პარკინსონის დაავადების დროს?

- ა) კულიანი ბირთვი;
- \*ბ) შავი სუბსტანცია;
- გ) ჰიპოთალამუსი;
- დ) არც ერთი ჩამოთვლილი.

742. რომელი ნივთიერების დეფიციტითაა გამოწვეული პარკინსონის დაავადება?

- ა) აცეტილქოლინი;
- ბ) სეროტონინი;
- გ) გამა-ამინოჰერბოს მჟავა;
- \*დ) დოპამინი;
- ე) ნორადრენალინი.

743. მედიკამენტების უმრავლესობა იწვევს გვერდითი ეფექტებს, რომელიც პარკინსონის დაავადების ზოგიერთი სიმპტომის მსგავსია. ქვემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტებიდან რომელი არ იწვევს ამ სიმპტომებს?

- \*ა) დიაზეპამი;
- ბ) ჰალოპერიდოლი;
- გ) ქლორპრომამინი;
- დ) პერფენაზინი;
- ე) რეზერპინი.

747. ქვემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტებიდან რომელი შეიძლება დაინიშნოს პარკინსონის დაავადების სამკურნალოდ?

- ა) ბრომოკრიპტინი;
- ბ) პერგოლიდი;
- გ) ამიტრიპტინი;
- \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი;
- ე) არც ერთი ჩამოთვლილი.

748. ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან რომელი არ ახასიათებს პარკინსონის დაავადებას?

- ა) ტრემორის ცალმხრივი დასაწყისი;
- ბ) ბრადიკინეზიის ცალმხრივი დასაწყისი;
- გ) წონასწორობის დარღვევა;
- დ) კუნთების რიგილობა;
- \*ე) ფსიქომოტორული აქტივობა.

749. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული პარკინსონის დაავადებასთან?

- \*ა) დიდი ლეპრესია;
- ბ) ცერებროვასკულარული დაავადებები;
- გ) ეპილეფსია;
- დ) შიზოფრენია;
- ე) შიზო-აფექტური მოშლილობა.

რევმატიული დაავადებები

750. ბავშვობის ასაკში რევმოკარდიტის ფონზე ყველაზე უფრო ხშირად ვითარდება:

- ა) მიოკარდიოსკლეროზი;

- ბ) აორგის სტენოზი;
- გ) აორგის სარქველის უკმარისობა;
- დ) მიგრალური ხერხელის სტენოზი;
- \*ე) მიგრალური სარქველის უკმარისობა.

752. იუვენილურ რევმატოიდულ ართრიტს არ ახასიათებს:

- ა) ინტერმისიული ხასიათის ცხელება;
- ბ) ღილის შეზოჭილობა;
- გ) რევმატოიდული კვანძები;
- დ) 3 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ართრიტი;
- ე) ბურსიტი ან გენდოსინოვიტი;
- \*ვ) მიოზიტი.

753. იუვენილური რევმატოიდული ართრიტის დროს სახსრების მხრივ გამოვლინებებს არ ახასიათებს:

- ა) ტკივილი სახსრის შესივების გარეშე, ან სახსრის შესივება ტკივილის გარეშე ანდა ორივე ერთად;
- ბ) პირველ რიგში მსხვილი სახსრების დაზიანება მონოართრიტის სახით;
- გ) სახსრების დაზიანების ასიმეტრიულობა;
- \*დ) ხერხემლის სვეტის წელის ნაწილის მალთაშორისო სახსრების დაზიანება;
- ე) ხერხემლის კისრის ნაწილის მალთაშორისო სახსრების დაზიანება.

754. იუვენილური რევმატოიდული ართრიტის შემთხვევაში თვალების მხრივ რომელი დაზიანებაა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი?

- ა) კატარაქტა;
- \*ბ) უვეიტი;
- გ) ქორიოიდიტი;
- დ) რქოვანას მონრისებრი დისტროფია;
- ე) ბალურა გარსის აშრევა.

755. იუვენილურ რევმატოიდულ ართრიტს არ ახასიათებს:

- ა) ეპიფიზური ოსტეოპოროზი;
- ბ) სახსრების ნაპრაღის შევიწროება;
- \*გ) ოსტეოლიზი;
- \*ბ ) ლინკომიცინს;
- გ ) ერითრომიცინს;
- ღ ) კლაფორანს;
- ე ) გენტამიცინს.

2064. ნაწლავის ჩხირისა და საღმონელას მიმართ ყველაზე უფრო აქტიურია:

- ა ) პენიცილინი;
- ბ ) ერითრომიცინი;
- გ ) ლინკომიცინი;
- \*ღ ) პოლიმიქსინი;
- ე ) რიფამპიცინი.

2065. აქტიურ ანტიტუბერკულოზურ პრეპარატებს არ განეკუთვნება:

- ა ) სტრეპტომიცინი;
- ბ ) კანამიცინი;
- გ ) რიფამპიცინი;
- ღ ) ბენზემიცინი;
- \*ე ) ფუზიდინი.

2066. რომელი ანტიფუნგური (სოკოს საწინააღმდეგო) ანტიბიოტიკია ეფექტური კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კანდილოზის ღროს?

- ა ) ნისტაგინი;
- ბ ) ლევორინი;
- \*გ ) ამფოგლუკამინი;
- ღ ) ამფოტერიცინი.

2067. რომელ ანტიბიოტიკს უნიშნავენ სისტემური კანდილოზის შემთხვევაში?

- ა ) ამპიცილინს;
- ბ ) გენტამიცინს;
- გ ) ნისტაგინს;
- \*ღ ) ამფოტერიცინს;
- ე ) ტეტრაციკლინს.

2068. სულფანიღამიდების ჯგუფს არ განეკუთვნება:

- ა ) სულფაღამიეტოქსინი;
- ბ ) ბისეპტოლი (ბაქტრიმი);
- \*გ ) ნიგროქსოლინი;
- ღ ) ალბუციდი;



ე) გტალაზოლი.

2069. ბაქტერიციდული მოქმედების ანტიბიოტიკია:

- ა) ერითრომიცინი;
- ბ) ტეტრაციკლინი;
- გ) ფუზიდინი;
- დ) ლინკომიცინი;
- \*ე) ამიკაცინი.

2070. ბაქტერიოსტაზული მოქმედების ანტიბიოტიკია:

- ა) ამპიცილინი;
- \*ბ) ლინკომიცინი;
- გ) სტრეპტომიცინი;
- დ) კლაფორანი;
- ე) სიზომიცინი.

2071. ნეფროტოქსიკური მოქმედება არ ახასიათებს:

- \*ა) პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკებს;
- ბ) ამინოგლიკოზიდების ჯგუფის ანტიბიოტიკებს;
- გ) ცეფალოსპორინების ჯგუფის ანტიბიოტიკებს;
- დ) სტრეპტომიცინს;
- ე) ანტიფუნგური ჯგუფის ანტიბიოტიკებს.

2072. ჰეპატოტოქსიკური ეფექტი ახასიათებს:

- ა) პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკებს;
- ბ) ცეფალოსპორინების ჯგუფის ანტიბიოტიკებს;
- გ) ამინოგლიკოზიდების ჯგუფის ანტიბიოტიკებს;
- დ) მაკროლიდების ჯგუფის ანტიბიოტიკებს;
- \*ე) ანტიგუბერკულოზური (სტრეპტოლმიცინის, რიფამიცინის) ჯგუფის ანტიბიოტიკებს.

2073. ანტიბიოტიკების რომელი კომბინირებაა დასაშვები ბავშვებში?

- ა) გენტამიცინი + კანამიცინი;
- \*ბ) ამპიცილინი + გენტამიცინი;
- გ) ლევომიცეტინი + კლაფორანი;
- დ) სტრეპტომიცინი + პოლიმიქსინი.

2075. პროკაინ-პენიცილინის სადღეღამისო დოზაა:

- \*ა) 25 000 - 50 000 ერთ./კგ;
- ბ) 100 000 - 150 000 ერთ./კგ;
- გ) 200 000 - 500 000 ერთ./კგ.

2076. ბუნებრივი პენიცილინებისადმი მგრძობიარეა:

- ა) ნოკარდია;
- ბ) ნაწლავის ჩხირი;
- \*გ) დიფტერიის ჩხირი;
- დ) ლურჯ-მწვანე ჩირქმბალი ჩხირი.

2077. ბენზათინ-პენიცილინი ბავშვებში ინიშნება სადღეღამისო დოზით:

- ა) 1,2 - 2,4 მილიონი ერთ. ყოველ 2-4 კვირაში ერთხელ;
- ბ) 50 000 ერთ./კგ კუნთებში;
- \*გ) 100 000 ერთ./კგ კუნთებში;
- დ) 100 000 ერთ./კგ. ინტრავენურად.

2078. ბავშვთა ასაკში პროკაინ-პენიცილინის სადღეღამისო დოზაა:

- ა) 25 000 - 50 000 ერთ./კგ. ინტრავენურად;
- \*ბ) 50 000 ერთ./კგ. კუნთებში;
- გ) 100 000 ერთ./კგ. კუნთებში;

დ) 100 000 ერთ./კგ. ინტრავენურად.

2079. დიდი დოზებით გამოყენებისას პენიცილინს არ ახასიათებს:

- ა) ალერგიული რეაქციები, მათ შორის ანაფილაქსია;
- ბ) ნეიროტოქსიკოზი;
- გ) ჰემოლიზური ანემია;
- \*დ) ღვიძლის უკმარისობა.

2080. ანტისტაფილოკოკური აქტივობა არ აქვს:

- ა) დიკლოქსაცილინს;
- ბ) გენტამიცინს;
- \*გ) ცეფტაზიმიდს;
- დ) ვანკომიცინს.

2081. ოქსაცილინისადმი მგრძობიარეა:

- ა) ენტეროკოკი;
- ბ) მიკოპლაზმა;
- გ) ნაწლავის ჩხირი;
- \*დ) სტაფილოკოკი;
- ე) აერობები.

2082. ოქსაცილინის სადღეღამისო დოზაა:

- ა) 100-200 მგ/კგ, განაწილებული 2-ჯერად მიღებაზე;
- ბ) 500 მგ/კგ, განაწილებული 4-ჯერად შეყვანაზე;
- \*გ) 100-200 მგ/კგ, განაწილებული 4-ჯერად შეყვანაზე;
- დ) 50-100 მგ/კგ. დღეში ერთხელ.

2083. სტრეპტოკოკული ინფექციის სამკურნალოდ არაეფექტურია:

- ა) ბენზილპენიცილინი;
- ბ) ერითრომიცინი;
- \*გ) ციპროფლოქსაცინი;
- დ) აზლოცილინი.

2084. ამოქსიცილინისადმი რემისგენგულია:

- ა) შიგელა;
- ბ) კლოსტრიდია;
- \*გ) ლურჯ-მწვანე ჩირქმბალი ჩხირი;
- დ) ნაწლავის ჩხირი;
- ე) არცერთი.

2085. პენიცილინისადმი ალერგიის შემთხვევაში არ უნიშნავენ:

- \*ა) აზლოცილინს;
- ბ) გენტამიცინს;
- გ) კლინდამიცინს;
- დ) ვანკომიცინს.

2086. კარბენცილინისადმი მგრძობიარეა:

- ა) ქლამიდია;
- ბ) სტაფილოკოკი;
- \*გ) პროტეუსი;
- დ) ენტეროკოკი;
- ე) არცერთი;
- ვ) ყველა.

2087. კარბენცილინის გართულებებს არ მიეკუთვნება:

- ა) ჰემორაგიული ღიათემი;
- ბ) ჰიპოკალიემია;

- გ) ალერგიული რეაქციები;
- \*დ) ნეიროტოქსიკობი;
- ე) არცერთი.

2088. გრამ-დადებითი კოკების მიმართ შედარებით მაღალ აქტივობას ავლენს:

- ა) ცეფოტაქსიმი (კლაფორანი);
- ბ) ცეფოპერაზონი (ცეფობიდი);
- გ) პიპერაცილინი;
- \*დ) ცეფალექსინი.

2089. ცეფაზოლინის (კეფზოლის) მიმართ რემისტენგულია:

- ა) პნევმოკოკი;
- ბ) მენინგოკოკი;
- გ) ნაწლავის ჩხირი;
- \*დ) ენტეროკოკი.

2090. ბავშვებში მენინგიტის სამკურნალოდ გამოიყენება:

- ა) ცეფამანდოლი (მანდოლი);
- ბ) ცეფაზოლინი (კეფზოლი);
- \*გ) ცეფტრიაქსონი (ლონგაცეფი, როცეფინი);
- დ) ცეფოპერაზონი (ცეფობიდი);
- ე) ყველა ზემოჩამოთვლილი;
- ვ) არცერთი.

2091. მენინგიტის სამკურნალოდ არ გამოიყენება:

- ა) ცეფოტაქსიმი (კლაფორანი);
- ბ) ცეფტრიაქსონი (ლონგაცეფი, როცეფინი);
- გ) მოქსალაქტამი (მოქსამი);
- \*დ) ცეფონიცილი (მონოცილი);
- ე) ცეფტაზიმიდი (ფორტაქსი, ტაზიციფი);
- ვ) ცეფტიზოქსიმი (ცეფიზოქსი).

2092. ანაერობების მიმართ მაღალეფექტურია:

- ა) ცეფოქსიგინი (მეფოქსინი);
- ბ) ცეფოტაქსიმი (კლაფორანი);
- გ) ცეფოპერაზონი (ცეფობიდი);
- დ) ლორაკარბეფი (ლორაბიდი);
- ე) ცეფოტეგანი (ცეფოტანი);
- \*ვ) სწორია ა, ე.

2093. აციკლოვირის მიმართ რემისტენგულია:

- ა) ჰერპესის მარტივი ვირუსი;
- ბ) ციტომეგალოვირუსი;
- გ) ვარიცელა-ზოსტერ ვირუსი.
- დ) გრიპის ვირუსი;
- ე) ციტომეგალოვირუსი; ვარიცელა-ზოსტერ ვირუსი.
- \*ვ) ჰერპესის მარტივი ვირუსი; ვარიცელა-ზოსტერ ვირუსი

2094. ყველაზე მეტად გამოხატული ნეფროტოქსიკური ეფექტი ახასიათებს:

- ა) ამპიცილინ-გენტამიცინის კომბინაციას;
- \*ბ) გობრაზამიცინ-პოლიმიქსინის კომბინაციას;
- გ) ამპიცილინ-ოქსაცლინის კომბინაციას;
- დ) ამოქსიცილინ-ცეფოტაქსიმის კომბინაციას.

2095. ანტიბიოტიკთერაპიის ძირითადი რეკომენდაციაა:

- ა) ბაქტერიციდული და ბაქტერიოსტატიკური ანტიბიოტიკების ერთდროული დანიშვნა;
- ბ) მკურნალობის წყვეტილი კურსის გამოყენება;

- გ) ამინოგლიკომიდების კომბინირება;
- \*დ) ანგიბიოტიკების საკმარისი კონცენტრაციის შექმნა;
- ე) ეფექტურობის გასაძლიერებლად გლუკოკორტიკოიდებთან კომბინირება.

დამატებულ ტესტები-1

2096. . რომელი მოსაზრებაა სწორი გულის წუთმოცულობის შესახებ:1. გულის წუთმოცულობა განისაზღვრება გულიდან ერთი წუთის განმავლობაში გადასროლილი სისხლის რაოდენობით;2. გულის უკმარისობის დროს გულის წუთმოცულობა ყოველთვის შემცირებულია;3. გულის წუთმოცულობა განისაზღვრება გულიდან ერთი შეკუმშვის დროს გადასროლილი სისხლის რაოდენობით;4. გულის უკმარისობა შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც გულის შემცირებული წუთმოცულობით, ისე ნორმალური ან მომატებული წუთმოცულობით. სწორია:

- ა) 1, 2;
- \*ბ) 1, 4;
- გ) 2, 3;
- დ) 3, 4;
- ე) 2;

2097. . ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი პათოლოგიით გამოწვეული გულის მწვავე უკმარისობისთვის არ არის დამახასიათებელი ფილტვების შეშუპება?

- ა) არტერიული ჰიპერტენზია;
- ბ) გულის იშემიური დაავადება;
- \*გ) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია;
- დ) მიგრალური სტენოზი;
- ე) აორტული მანკი;

2098. . კარდიული ასთმისთვის დამახასიათებელი პაროქსიზმული ქოშინი უფრო ხშირად ვითარდება:

- ა) ღილით;
- ბ) დღის მეორე ნახევარში;
- \*გ) ღამით

2099. . რომელი არ განეკუთვნება გულის შეგუბებითი უკმარისობის დიდ (ძირითად) კრიტერიუმებს (ფრემინგემის კვლევის მიხედვით, 1993წ.)?

- ა) ფილტვების მწვავე შეშუპება;
- ბ) სველი ხიხინი ფილტვებში;
- გ) კარდიომეგალია;
- დ) ჭენების რიგში;
- \*ე) ქვედა კიდურების შეშუპება

2100. . რომელი პათოლოგიის დროს ვითარდება ფილტვების მწვავე შეშუპება?1. მარცხენა პარკუჭის უკმარისობა;2. მარჯვენა წინაგულის უკმარისობა;3. მიგრალური სტენოზი;4. მარჯვენა პარკუჭის ინფარქტი;სწორია:

- ა) 1;
- ბ) 1, 2;
- \*გ) 1, 3;
- დ) 1, 4;
- ე) ყველა სწორია

2101. . გულის ქრონიკული უკმარისობის გამწვავებისას საგულე გლიკომიდებიდან ინგრავენურად უმჯობესია გამოყენებული იქნეს:

- ა) სტროფანტინი;
- \*ბ) დიგოქსინი;
- გ) კორგლიკონი;
- დ) დიგიტოქსინი.

2102. . გულის ქრონიკული უკმარისობის ფარმაკოლოგიური მკურნალობა მოიცავს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ფარმაკოლოგიური ჯგუფის პრეპარატებს, გარდა ერთისა:



2111. რომელი მოსაზრებაა სწორი რენოვასკულური ჰიპერტენზიის განვითარების ასაკობრივი თავისებურების შესახებ?

- ა) უფრო ხშირად გვხვდება 30-დან 50 წლამდე ასაკის ქალებში;
- ბ) უფრო ხშირად გვხვდება 30 წლამდე ასაკის მამაკაცებში;
- გ) უფრო ხშირად გვხვდება ქალებში 50 წლის ბევრით;
- დ) უფრო ხშირად გვხვდება მამაკაცებში 30 წლამდე ან ქალებში 50 წლის ბევრით;
- \*ე) უფრო ხშირად გვხვდება ქალებში 30 წლამდე ან მამაკაცებში 50 წლის ბევრით.

2112. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ ახასიათებს რენოვასკულურ ჰიპერტენზიას?

- ა) მყარი არტერიული ჰიპერტენზია;
- \*ბ) ჰიპერკალიემია;
- გ) პარაორტული შუილი ჭიპთან;
- დ) რენინის მაღალი დონე დაზიანებული თირკმლის ვენურ სისხლში.

2113. მედიკამენტური სიმპტომური ჰიპერტენზიის მიზეზი შეიძლება იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფის პრეპარატი, გარდა ერთისა:

- \*ა) გრიციკლური ანტიბიოტიკები;
- ბ) ორალური კონტრაცეპტივები;
- გ) სიმპათომიმეტიკური ამინები;
- დ) მონოამინოქსიდაზის ინჰიბიტორები;
- ე) გლუკოკორტიკოიდები.

2114. გულის თანდაყოლილი მანკის განვითარება შეიძლება გამოიწვიოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორმა, გარდა ერთისა:

- ა) წითურა ფეხმძიმობის პირველ ტრიმესტრში;
- ბ) ალკოჰოლის სისტემატურად მიღება დედის მიერ;
- გ) შაქრიანი დიაბეტით დაავადებული დედა;
- დ) ანგიკონველსანტების მიღება ფეხმძიმობის პერიოდში;
- \*ე) დაბლობში (ზღვის დონესთან ახლოს) ორსულობა და მშობიარობა.

2115. რომელი მოსაზრებაა სწორი გულის თანდაყოლილი ანომალიის განვითარების რისკის შესახებ:

- ა) თუ პირველი ბავშვი გულის თანდაყოლილი ანომალიით არის დაბადებული მეორე ახალშობილისთვის გულის თანდაყოლილი ანომალიის განვითარების რისკი 25%-ზე მაღალია;
- ბ) თუ პირველი ბავშვი გულის თანდაყოლილი ანომალიით არის დაბადებული მეორე ახალშობილისთვის გულის თანდაყოლილი ანომალიის განვითარების რისკი ისეთივეა, როგორც ზოგადი პოპულაციის მაჩვენებელი;
- \*გ) თუ პირველი ბავშვი გულის თანდაყოლილი ანომალიით არის დაბადებული მეორე ახალშობილისთვის გულის თანდაყოლილი ანომალიის განვითარების რისკი 1-4%-ია;
- დ) თუ გულის თანდაყოლილი ანომალიით დაბადებულია ორი ბავშვი, მესამე ახალშობილისთვის გულის თანდაყოლილი ანომალიის განვითარების რისკი 50%-ზე მაღალია;

2116. რომელი მოსაზრებაა სწორი წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის შესახებ?

- ა) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტი ყველაზე ხშირად ვითარდება ძგიდის ბელა ნაწილში, ბემო დრუ ვენის შესავალთან;
- ბ) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის არსებობისას მარცხნიდან მარჯვნივ შუნტირების ხარისხი უფრო დიდია ახალშობილებში მოზრდილებთან შედარებით;
- გ) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის ოპერაციული დახურვისათვის ყველაზე მეტად ხელსაყრელია 5-დან 7 წლამდე ასაკი;
- \*დ) უფროსი ასაკის ბავშვებში და მოზარდებში წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის ოპერაციული მკურნალობის შემდეგ გულის მარჯვენა საკნები ზომიერად მცირდება, მაგრამ ნორმულ მაჩვენებლებს შეიძლება აღარ დაუბრუნდეს
- ე) მოზრდილებში წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის ოპერაციულ დახურვას კლინიკური ეფექტი არ აქვს.

2117. ლუტემბაშეს სინდრომი გულისხმობს:

- \*ა) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტისა და შეძენილი მიგრალური სტენოზის ერთდროულ არსებობას;
- ბ) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის დროს შეუქცევადი პულმონური ჰიპერტენზიის განვითარებას;
- გ) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტისა და პარაკუტაშუა ძგიდის დეფექტის ერთდროულ არსებობას;
- დ) არც ერთ ბემოთ ჩამოთვლილს.

2118. რომელი მოსაზრებაა მცდარი პარკუჭთაშუა ძგიდის ლეფექტის შესახებ?

- ა) პარკუჭთაშუა ძგიდის ლეფექტი ყველაზე ხშირი თანდაყოლილი ანომალიაა გულის მანკებს შორის;
- ბ) პარკუჭთაშუა ძგიდის ლეფექტი შეიძლება ასოცირებული იყოს ღუნის ან გერნერის სინდრომთან;
- \*გ) ქირურგიული მკურნალობა აუცილებელია პარკუჭთაშუა ძგიდის ნებისმიერი ზომის ლეფექტის არსებობისას;
- დ) მცირე ზომის პარკუჭთაშუა ძგიდის ლეფექტი კლინიკურად შეიძლება არ გამოვლინდეს;
- ე) დიდი ზომის პარკუჭთაშუა ძგიდის ლეფექტი შეიძლება ეიზენმენგერის სინდრომით გართულდეს.

2119. რომელი მოსაზრებაა სწორი ეიზენმენგერის სინდრომის შესახებ?

- ა) ეიზენმენგერის სინდრომის განვითარების შემთხვევაში აუცილებელია გულის მანკის ოპერაციული მკურნალობა;
- \*ბ) ეიზენმენგერის სინდრომი შეიძლება განვითარდეს ინგრაკარდიული შუნგის ნებისმიერი ვარიანტის დროს;
- გ) ეიზენმენგერის სინდრომისათვის დამახასიათებელია ერთროპენია;
- დ) ყველა ბემით ჩამოთვლილი სწორია;

2120. რომელს მოსაზრებაა სწორი აორტის ხერელის სტენოზის შესახებ: 1. აორტის ხერელის სტენოზი შეიძლება განვითარდეს აორტის სარქველის თანდაყოლილი ლეფექტის არსებობის ფონზე; 2. აორტის ხერელის სტენოზი შეიძლება განვითარდეს ათეროსკლეროზის შედეგად; 3. აორტის ხერელის სტენოზს ახასიათებს გონების დაკარგვის ეპიზოდები; 4. აორტის ხერელის სტენოზს ახასიათებს სტენოკარდიული შეტევები; 5. აორტის ხერელის სტენოზის დროს რეგულარულად პერიფერიული ვაზოდილატაციორების დანიშვნა გამართლებული არ არის. სწორია:

- ა) 1, 2, 4, 5;
- ბ) 2, 4, 5;
- გ) 2, 3, 5;
- დ) 2, 4
- \*ე) ყველა სწორია

2121. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება გულის იშემიური დაავადების რისკფაქტორებს?

- ა) ჰიპოლინამია;
- \*ბ) ჰიპერთირეოზი;
- გ) პოდაგრა;
- დ) შაქრიანი დიაბეტი;
- ე) არტერიული ჰიპერტენზია.

2122. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევებშია ნაჩვენები კორონარული ანგიოგრაფიის ჩატარება: 1. ნებისმიერი სიმძიმის სტაბილური სტენოკარდიის (ოთხივე ფუნქციური კლასი) არსებობისას; 2. სტაბილური სტენოკარდიის III და IV ფუნქციური კლასების არსებობისას; 3. არასტაბილური სტენოკარდიის არსებობისას; 4. სტაბილური სტენოკარდიის I და II ფუნქციური კლასების არსებობისას; სწორია:

- ა) 1;
- ბ) 1, 3;
- \*გ) 2, 3;
- დ) 3;
- ე) 3, 4;

2123. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაშია ყველაზე მეტად ნაჩვენები ნიფელიპინის ჯგუფის ხანმოკლე მოქმედების კალციუმის ანტაგონისტების გამოყენება:

- \*ა) პრინციმეტალის სტენოკარდია;
- ბ) მოსვენების სტენოკარდია;
- გ) ღაბაზვის სტენოკარდია;
- დ) ნებისმიერი ფორმის სტენოკარდია.
- ე) ჰიპერტენზიით მიმდინარე მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი.

2124. რა დოზით არის ნაჩვენები ასპირინის დანიშვნა სტენოკარდიის სამკურნალოდ?

- ა) 50-100 მგ;
- \*ბ) 100-325 მგ;
- გ) 325-500 მგ;
- დ) 500-1000 მგ;

2125. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი პრეპარატის დანიშნება ყველაზე ნაკლებად რეკომენდებულია მიოკარდიუმის ინფარქტის მწვავე სტადიაზე?

- ა) ნიტროგლიცერინი;
- ბ) კაპტოპრილი;
- გ) პროპრანოლოლი;
- \*დ) ნიფედინი;
- ე) ატროპინი.

2126. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს სათანადო ჩვენებით დანიშნის შემთხვევაში, რომელი მედიკამენტები ამცირებენ სიკვდილიანობის მაჩვენებელს და განმეორებითი ინფარქტის განვითარების რისკს: 1. საგულე გლიკოზიდები; 2. კალციუმის არხების ბლოკერები; 3.

ბეტა-ბლოკერები; 4. ანგიოტენზინის გარდაქმნელი ფერმენტების ინჰიბიტორები;

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 2, 3, 4;
- \*გ) 3, 4;
- დ) 2, 3;
- ე) 2, 4.

2127. რა შემთხვევაში ინიშნება ასპირინი (უკუჩვენების არარსებობისას) მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს?

- ა) ასპირინი უნდა მიეცეს მხოლოდ იმ ავადმყოფებს, რომლებსაც უტარდებათ თრომბოლიზური თერაპია;
- ბ) ასპირინი უნდა მიეცეს მხოლოდ იმ ავადმყოფებს, რომლებსაც თრომბოლიზური თერაპია არ უტარდებათ;
- \*გ) ასპირინი ავადმყოფს უნდა მიეცეს მიუხედავად იმისა, უტარდება მას თრომბოლიზური თერაპია, თუ არა;
- დ) ასპირინი მიოკარდიუმის ინფარქტის მწვავე ფაზაში არ უნდა დაინიშნოს.

2128. რომელი მოსაზრებაა სწორი უეცარი სიკვდილის უშუალო მიზეზების შესახებ? 1. უეცარი კარდიული სიკვდილის უშუალო მიზეზი შემთხვევით 60%-ში ლეგალური არითმიებია; 2. ლეგალური არითმიები უეცარი კარდიული სიკვდილის უშუალო მიზეზს წარმოადგენს შემთხვევითა თითქმის 90%-ში; 3. უეცარი კარდიული სიკვდილის გამომწვევი ლეგალური არითმიები შემთხვევითა 50%-ში პარკუჭოვანი ტაქიკარდიით და/ან ფიბრილაციით არის წარმოდგენილი; 4. უეცარი კარდიული სიკვდილის გამომწვევი ლეგალური არითმიები შემთხვევითა 80%-ში პარკუჭოვანი ტაქიკარდიით და/ან ფიბრილაციით არის წარმოდგენილი.

- ა) 1, 3;
- ბ) 1, 4;
- გ) 2, 3;
- \*დ) 2, 4;
- ე) 2.

2129. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორი არ შეიძლება იყოს დილაგაციური კარდიომიოპათიის განვითარების მიზეზი: 1. კობალტის შემცველი საკვები პროდუქტების ხშირი მიღება; 2. კატექოლამინების ჭარბი ცირკულაცია სისხლში; 3. ლოქსორუბინის გამოყენება; 4. მაგნიუმის შემცველი საკვები პროდუქტების ხშირი მიღება;

- ა) 1, 2;
- ბ) 2, 3;
- გ) 3, 4;
- დ) 2;
- \*ე) 4;

2130. რომელი მოსაზრებაა მცდარი პერიპარტული კარდიომიოპათიის შესახებ:

- ა) პერიპარტული კარდიომიოპათია შეიძლება განვითარდეს ორსულობის ბოლო თვეებში;
- ბ) პერიპარტული კარდიომიოპათია შეიძლება განვითარდეს მშობიარობის შემდეგ 3 თვის განმავლობაში;
- გ) პერიპარტული კარდიომიოპათიის არსებობისას სიკვდილიანობის მაჩვენებელი 30-60%-ია;
- დ) პერიპარტული კარდიომიოპათია ხშირად სპონტანურ უკუგანვითარებას განიცდის;
- \*ე) ყველა ბემოსენებული მოსაზრება სწორია.

2131. დილაგაციური კარდიომიოპათიის მკურნალობა შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერს, გარდა ერთისა:



- ა) ანტიკოაგულანტები;
- \*ბ) ვენტრიკულომიომექტომია;
- გ) ბეგა-ბლოკერები;
- დ) გულის გაღანერგვა;
- ე) ლილატაციური კარდიომიოპათიის განვითარების მიზეზის მოცილება.

2132. ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიისთვის დამახასიათებელია: 1. სისტოლური დისფუნქცია; 2. დიასტოლური დისფუნქცია; 3. მარცხენა პარკუჭის ობლიტერაციის ფაზის არსებობა; 4. ლინამიკური გრადიენტის არსებობა მარცხენა პარკუჭსა და აორტას შორის;

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 3, 4;
- \*გ) 2, 3, 4;
- დ) 2, 4;
- ე) 1, 2;

2133. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი პრეპარატ(ებ) ის დანიშნავს ნაკლებად მიზანშეწონილი ობსტრუქციით მიმდინარე ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიის დროს? 1) ბეგა-ბლოკერები; 2) კალციუმის ანტაგონისტები; 3) ლიმოპირამიდი;

- ა) 1
- \*ბ) 2
- გ) 3
- დ) 2;3
- ე) 1;3

2134. მწვავე პერიკარდიტის ყველაზე ხშირი მიზეზია:

- ა) მიოკარდიუმის ინფარქტი;
- ბ) სიმსივნური პროცესი;
- გ) რეუმატიზმი;
- \*დ) ვირუსული ინფექცია;
- ე) ბაქტერიული ინფექცია.

2135. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ახასიათებს რეინოს ფენომენს? 1. კილურის ფერის შეცვლა მყარია; 2. დამახასიათებელია მაპროვოცირებელი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად კილურების შეფერილობის კანონზომიერი ცვლა; 3. ფერის შეცვლა, როგორც წესი, თითებს მოიცავს; 4. ფერის შეცვლა მოიცავს მთელ კილურს, მისი პროქსიმალური ნაწილის ჩათვლით.

- ა) 1, 3;
- ბ) 1, 4;
- \*გ) 2, 3;
- დ) 2, 4.

2136. რომელი არ განეკუთვნება კალიუმის დამზოგველ შარდმდენ მედიკამენტებს?

- ა) სპირონოლაქტონი;
- \*ბ) ბუმეტანიდი;
- გ) ამილორიდი;
- დ) ტრიაამტერენი;

2137. კარდიოსელექციურ ბეგა-ბლოკერებს მიეკუთვნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი გარდა ერთისა:

- ა) აცებუტოლოლი;
- ბ) აგენოლოლი;
- გ) მეტოპროლოლი;
- \*დ) პროპრანოლოლი;

2138. რომელი არ განეკუთვნება თიაზიდებს და მათ მსგავს შარდმდენ მედიკამენტებს?

- ა) მეთოლამონი;
- \*ბ) ამილორიდი;
- გ) ქლორთალიდონი;
- დ) ჰიდროქლორთიაზიდი;

ე) ინლაპამინი.

2139. პირდაპირი მოქმედების ვაზოლილაგაგორებს განეკუთვნება:1. რემერპინი;2. ჰიდრალაზინი;3. ლაბეტალოლი;4. მინოქსიდილი;სწორია

- ა) 1, 2;
- ბ) 2, 3;
- გ) 3, 4;
- დ) 1, 3;
- \*ე) 2, 4;

2140. ჰიპერტენზიული კრიზის სამკურნალო პარენტერალურ პრეპარატებს განეკუთვნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ნატრიუმის ნიტროპრუსიდი;
- \*ბ) კლოფელინი;
- გ) ნიტროგლიცერინი;
- დ) ჰიდრალაზინი;
- ე) ლაბეტალოლი;

2141. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი თვისებებით ხასიათდება ლაბეტალოლი?1.

ბეტა-ადრენორეცეპტორების სელექციური ბლოკადით;2. ბეტა-ადრენორეცეპტორების არასაელექციური ბლოკადით;3. ალფა-ადრენორეცეპტორების ბლოკადით;სწორია:

- ა) 1;
- ბ) 2;
- გ) 1, 3;
- \*დ) 2, 3;
- ე) 3.

2142. პერიფერიული მოქმედების სიმპათოლიზურ საშუალებებს (სიმპათოლიტიკებს) განეკუთვნება:1. გუანეტიდინი;2. კლონიდინი;3. რემერპინი;4. ჰიდრალაზინი;სწორია:

- ა) 1, 2, 3;
- ბ) 2, 3, 4;
- \*გ) 1, 3;
- დ) 2, 3;
- ე) 3, 4.

2143. რომელი მოსაზრებაა სწორი სულფომარლოვანას წარმოებულების შესახებ?

- ა) სულფომარლოვანას წარმოებულები აქვეითებენ ინსულინის სეკრეციას;
- ბ) სულფომარლოვანას წარმოებულები ასტიმულირებენ ნახშირწყლების შეწოვას;
- გ) სულფომარლოვანას წარმოებულები ამცირებენ ნახშირწყლების შეწოვას და აძლიერებენ მათ შთანთქმას პერიფერიული ქსოვილების მიერ;
- \*დ) სულფომარლოვანას წარმოებულების მიღებისას ალკოჰოლი ხელს უწყობს ჰიპოგლიკემიის განვითარებას.

2144. მეორე გენერაციის სულფომარლოვანას წარმოებულ პრეპარატებს განეკუთვნება:

- \*ა) გლიბურიდი;
- ბ) აცეტოჰექსამიდი;
- გ) ქლოროპროპამიდი;
- დ) ბუფორმინი;
- ე) გლიბენკლამიდი.

2145. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი თვისებაა დამახასიათებელი ნიტრატების ჯგუფის პრეპარატებისათვის:1. უპირატესად არტერიების და ნაკლებად ვენების გაფართოების უნარი;2. უპირატესად ვენების და ნაკლებად არტერიების გაფართოების უნარი;3. მარცხენა პარკუჭში საბოლოო დიასტოლური წნევის შემცირების უნარი;4. ნიტრატები არ მოქმედებენ ათეროსკლეროზით დამიანებულ გვირგვინოვან არტერიებზე;სწორია:

- ა) 1, 3, 4;
- ბ) 2, 3, 4;
- \*გ) 2, 3;
- დ) 1, 4;

ე) 1, 3.

2146. გაურთულებელი მწვავე ბრონქიტის მკურნალობა მოიცავს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს, გარდა ერთისა:

- ა) დიდი რაოდენობით სითხის მიღება;
- ბ) თეოფილინი სასუნთქი გზების გამავლობის დარღვევისას;
- \*გ) ანტიბიოტიკოთერაპია;
- დ) ინჰალაციები სოდის ხსნარით;
- ე) სალბუტამოლი სასუნთქი გზების გამავლობის დარღვევისას.

2147. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ პათოლოგიებს მოიცავს ფილგვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება? 1. ქრონიკული ბრონქიტი; 2. ფილგვების ემფიზემა; 3. ბრონქული ასთმა; 4.

ბრონქოექტაზია; სწორია:

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 3;
- გ) 2, 3, 4;
- დ) 2, 3;
- \*ე) 1, 2

2148. რომელი მოსაზრებაა სწორი ბეგა-ბლოკერების გამოყენების შესახებ ბრონქების ჰიპერრეაქტიულობის არსებობისას? 1. ბეგა-ბლოკერების დანიშვნა იმ პირებისთვის, რომლებსაც აღენიშნებათ ბრონქების ჰიპერრეაქტიულობა, არ იწვევს ბრონქოსპაზმის განვითარების რისკის მაგებას; 2. ბეგა-ბლოკერები ხშირად იწვევენ ბრონქოსპაზმს იმ პირებში, რომლებსაც აღენიშნებათ ბრონქების ჰიპერრეაქტიულობა; 3. სელექციური ბეგა-1-ბლოკერები არ იწვევენ ასთმის შეგვევას პირებში, რომლებსაც აღენიშნებათ ბრონქების ჰიპერრეაქტიულობა; 4. ბრონქოსპაზმის განვითარებას იწვევენ მხოლოდ არასელექციური ბეგა-ბლოკერები; სწორია:

- ა) 1, 3;
- ბ) 2, 3, 4;
- გ) 2, 4;
- დ) 1;
- \*ე) 2;

2149. ბრონქული ასთმის შეგვევის დროს ბრონქების გამოხატულ ობსტრუქციაზე მიუთითებს:

- \*ა) პარადოქსული პულსის გაჩენა;
- ბ) ქოშინი;
- გ) არტერიული ჰიპერტენზია;
- დ) ტაქიპნოე;

2150. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ მიეკუთვნება ბრონქული ასთმის მკურნალობისათვის მოწოდებულ მედიკამენტებს?

- ა) ბეგა-აგონისტები;
- ბ) ლეიკოტრიენების მოდიფიკატორები;
- გ) მეთილქსანტინები;
- დ) გლუკოკორტიკოიდები;
- \*ე) გრანკვილიმბატორები.

2151. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ორი მიკრობი იწვევს ყველაზე ხშირად პნევმონიას? 1. A ჯგუფის ბეგა-ჰემოლიზური სტრეპტოკოკი; 2. პნევმოკოკი; 3. ინფლუენცას ჩხირი; 4. მიკოპლაზმა (*Mycoplasma pneumoniae*); 5. *Legionella pneumophila*; სწორია:

- ა) 1, 2;
- \*ბ) 2, 3;
- გ) 3, 4;
- დ) 2, 4;
- ე) 2, 5.

2152. კისკური ფიბროზის დროს ფილგვების გარდა მიანდება: 1) დიდი და სანადვლე გზები; 2) კუჭკანა ჯირკვალი; 3) კუჭ-ნაწლავის ტრაქტი;

ა) 1

- ბ) 2
- გ) 3
- \*დ) 2;3

2153. რამდენად მაღალია ფილტვის კიბოს განვითარების რისკი თამბაქოს მწველებს შორის არამწველებთან შედარებით?

- ა) რისკი 60-80%-ით მაღალია;
- ბ) რისკი 80-100%-ით მაღალია;
- გ) რისკი 2-3-ჯერ მაღალია;
- \*დ) რისკი 6-7-ჯერ მაღალია;

2154. რომელი ორგანოები ზიანდება ყველაზე ხშირად სარკოიდოზის დროს? 1. ფილტვები; 2. კანი; 3. თვალი; 4. ლიმფური კვანძები; სწორია:

- \*ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 3;
- გ) 1, 3, 4;
- დ) 1, 2, 4;
- ე) 1, 4.

2155. რომელი მოსაზრებაა მცდარი ტუბერკულოზის პროფილაქტიკის შესახებ? 1) პირველი ვაქცინაციის ვადა ახალშობილებში დაბადებიდან 0-5 დღეა; 2) რევაქცინაცია უგარდებთ ტუბერკულინდალებით ბავშვებს; 3) მეორე და მესამე რევაქცინაცია ტარდება 11-12 და 16-17 წლის ასაკში;

- ა) 1
- \*ბ) 2
- გ) 3
- დ) 1;2
- ე) 1;3.

2156. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მიკრობი იწვევს პნემონიას მხოლოდ იმ პირებში, რომლებსაც აღენიშნებათ იმუნოდეფიციტური მდგომარეობა:

- ა) რიკეტსია (*Coxiella Burnetii*) ;
- ბ) მიკოპლაზმა (*Mycoplasma pneumoniae*) ;
- გ) ინფლუენცას ჩხირი;
- \*დ) პროტოზოა *Pneumocystis carinii*;
- ე) *Legionella pneumophila*;

2157. რომელი მოსაზრებაა სწორი სარკოიდოზის შესახებ?

- \*ა) სარკოიდოზის დროს პათოლოგიურმა პროცესმა შეიძლება ნებისმიერი ორგანო მოიცვას;
- ბ) ყველზე მგრძობიარე და სპეციფიკური სადიაგნოზო კრიტერიუმია სისხლში ანგიოტენზინის გარდამქმნელი ფერმენტის დონის აწევა;
- გ) სარკოიდოზის დროს შემთხვევითა უმრავლესობა მწვავედ ან ქვემწვავედ მიმდინარეობს;
- დ) სარკოიდოზს, ტუბერკულოზისაგან განასხვავებით, არ ახასიათებს გრანულომატოზური წარმონაქმნების განვითარება, რაც მნიშვნელოვანია ამ დაავადებათა დიფერენცირებისთვის.

2158. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვენების თრომბოზის გართულებას წარმოადგენს ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია? 1) ქვემო კიდურების ღრმა ვენები; 2) მენჯის ღრმა ვენები; 3) ქვემო კიდურების ზედაპირული ვენები;

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
- \*ე) 1;2

2159. რომელი მოსაზრებაა სწორი ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის შესახებ: 1) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიას შემთხვევითა უმრავლესობაში ვითარდება ფილტვის ინფარქტი; 2) სათანადო ასაკის და რისკფაქტორების თანაარსებობისას ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის სადიაგნოზოდ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლიანი ხველის არსებობას; 3) სათანადო ასაკის და რისკფაქტორების თანაარსებობისას

ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის სადიაგნოზოდ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს პლევრისშიერი გვივის არსებობას;

- ა) 1
- ბ) 2
- \*გ) 3
- დ) 1;2
- ე) 1;3

2160. რომელი მოსაზრებაა სწორი ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის დროს გამოყენებული სამკურნალო მეთოდების შესახებ: 1) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის დროს ანგიკოაგულაციური მკურნალობის მიზანია ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის ახალი ეპიზოდების პროფილაქტიკა; 2) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის დროს ანგიკოაგულაციური მკურნალობის მიზანია პულმონური სისხლის მიმოქცევის აღდგენის დაჩქარება; 3) თრომბოლიზური თერაპიის ფონზე ხდება ფილტვის არტერიაში გაჭედული თრომბის გახსნა;

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1;3;
- \*ე) 2;3

2161. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან მიუთითეთ პლევრის დრუში გრანსუგადის დაგროვების ყველაზე ხშირი ორი მიზეზი?1. გულის ბივენტრიკულური უკმარისობა;2. გულის მარჯვენაპარკუჭოვანი უკმარისობა;3. ასციტით მიმდინარე ღვიძლის ციროზი;4. საშარდე გზების ობსტრუქცია.

- ა) 1, 2;
- \*ბ) 1, 3;
- გ) 1, 4;
- დ) 2, 3;
- ე) 2, 4.

2162. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია 60 წლის ასაკის ზემოთ პლევრის დრუში სითხის დაგროვების ყველაზე ხშირი მიზეზი:

- ა) გულის უკმარისობა;
- ბ) ღვიძლის ციროზი;
- \*გ) ონკოლოგიური პათოლოგია;
- დ) ურემია;
- ე) რევმატოიდული ართრიტი.

2163. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს პნევმოთორაქსის მიზეზი?1. ვისცერული პლევრის დაზიანება;2. გულმკერდის კედლისა და პარაიეტული პლევრის დაზიანება;3. ღიაფრაგმის დაზიანება;4. საყლაპავის დაზიანება;

- ა) 1, 2, 3;
- ბ) 2, 3, 4;
- გ) 2, 3;
- დ) 1, 2;
- \*ე) 1, 2, 3, 4.

2164. პლევრის დრუში სითხის დაგროვების ონკოლოგიურ მიზეზებს შორის ყველაზე ხშირია:

- \*ა) ფილტვის კიბოს „ჩაზრდა“ პლევრაში;
- ბ) მეიგსის სინდრომი;
- გ) კუჭის კიბო;
- დ) ავთვისებიანი მეზოთელიომა;
- ე) კეთილთვისებიანი მეზოთელიომა.

2165. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი პარამეტრების გამოშვება რეკომენდებული პლევრის დრუდან აღებულ სითხეში ექსუდატისა და გრანსუდატის ურთიერთგასამიჯნავად?1. ცილის შემცველობა;2.

ლაქტატდეჰიდროგენაზის აქტივობა;3. ლეიკოციტების რაოდენობა;4. გლუკოზის დონე; 5. pH.

- \*ა) 1, 2, 3, 4, 5;
- ბ) 1, 2, 3, 4;

- გ) 1, 2, 3, 5;
- დ) 1, 3, 4;
- ე) 1, 3 5.

2166. რომელი მოსაზრებაა სწორი პულმონური ჰიპერტენზიის შესახებ:

- \*ა) პულმონური ჰიპერტენზიის კრიტერიუმი (საშუალო არტერიული წნევის მაჩვენებელი ფილტვის არტერიაში, რომელიც პულმონურ ჰიპერტენზიაზე მიაჩნდება) დამოკიდებულია, ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე ცხოვრობს პაციენტი;
- ბ) პულმონური ჰიპერტენზიის შემთხვევათა ნახევარი ფილტვების პირველადი ჰიპერტენზიით არის წარმოდგენილი;
- გ) პულმონური ჰიპერტენზიის სამკურნალოდ არ უნდა იქნეს გამოყენებული ნიტროგლიცერინი და ნატრიუმის ნიტროპრუსიდი;
- დ) ფილტვების პირველადი ჰიპერტენზიის პროგნოზი კეთილსაიმედოა.

2167. პნევმოკონიოზისათვის დამახასიათებელი ჩივილების გრიადა მოიცავს: 1. ქოშინი; 2. ხველა; 3. ცხელება; 4. ტკივილი გულმკერდში.

- ა) 1, 2, 3;
- ბ) 2, 3, 4;
- გ) 1, 3, 4;
- \*დ) 1, 2, 4;

2168. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს პნევმოკონიოზის მიზეზი: 1. სილიკატები; 2. ცემენტი; 3. ბარიტი; 4. ნახშირი;

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 2, 3, 4, 5;
- გ) 1, 2, 4, 5;
- დ) 2, 3, 4

\*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

2169. პირველადი ტუბერკულოზის ყველაზე ხშირი ფორმაა:

- \*ა) მკერდშია ლიმფური კვანძების ტუბერკულოზი;
- ბ) ფილტვების დისემინირებული ტუბერკულოზი;
- გ) ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზი;
- დ) ფილტვების კავერნოზული ტუბერკულოზი;
- ე) არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი.

2170. რომელი მოსაზრებაა სწორი მანგუს სინჯის შესახებ:

- ა) მანგუს სინჯი კეთდება კანზე;
- ბ) მანგუს სინჯი კეთდება კანქვეშ;
- გ) მანგუს სინჯის ჩატარებისას უნდა შეფასდეს ერთიმის ზომა;
- \*დ) ტუბერკულინური ალერგია უნდა შეფასდეს 48-72 საათის შემდეგ.

2171. ოსტეოპოროზის განვითარების რისკის ჯგუფებია: 1. პაციენტების გახანგრძლივებული ამენორეით (ორსულობის გარეშე) კლიმაქტერიული პერიოდის დადგომამდე; 2. პაციენტები ნადრევი მენოპაუზით; 3. პაციენტები ქრონიკული აგროფიული გასტრიტით; 4. პაციენტები, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში იტარებენ მკურნალობას პრედნიზოლონით (დღეღამეში > 7. 5 მგ)

- ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 2, 3, 4;
- \*გ) სწორია 1, 2, 4;
- დ) სწორია 1, 3, 4.

2172. ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციებიდან, რომელია ყველაზე უფრო მეტად მიზანშეწონილი ხანდაზმული ასაკის პაციენტისათვის ოსტეოპოროზის თავიდან ასაცილებლად?

- ა) კვების სათანადო რეჟიმის შერჩევა;
- ბ) რეგულარული ვარჯიში;
- \*გ) კალციუმისა და ვიტამინის შემცველი პრეპარატების მიღება;
- დ) თამბაქოს მოწევისა და ალკოჰოლის მიღების აკრძალვა.

2173. ალკოჰოლის უსაფრთხო რაოდენობად ყოველკვირეულად მიჩნეულია:

- \*ა) 21 ერთეული მამაკაცებისათვის და 14 ერთეული ქალებისათვის;
- ბ) 31 ერთეული მამაკაცებისათვის და 14 ერთეული ქალებისათვის;
- გ) 28 ერთეული მამაკაცებისათვის და 21 ერთეული ქალებისათვის;
- დ) 21 ერთეული, როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის.

2174. რომელია ქვემოთ მოყვანილიდან სწორი:

- ა) 1 ერთეული ალკოჰოლი ეკვივალენტურია ალკოჰოლის 12 გრამისა;
- \*ბ) 1 ერთეული ალკოჰოლი ეკვივალენტურია ალკოჰოლის 8 გრამისა;
- გ) მამაკაცისათვის ალკოჰოლის უსაფრთხო რაოდენობად კვირაში მიჩნეულია 31 ერთეული ალკოჰოლი;
- დ) ქალისათვის ალკოჰოლის უსაფრთხო რაოდენობად მიჩნეულია 20 ერთეული ალკოჰოლი;
- ე) სწორია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

2175. ალკოჰოლის ერთ ერთეულს (8 გრამს) შეიცავს: 1. 125 მლ ღვინო; 200 მლ ღვინო; 3. 250 მლ ლუდი; 4. 350 მლ ლუდი; 5. 15 მლ სპირტი; 6. 25 მლ სპირტი.

- \*ა) სწორია 1, 3, 6;
- ბ) სწორია 1, 4, 5;
- გ) სწორია 2, 4, 6;
- დ) სწორია 1, 3, 5.

2176. არაწყულლოვანი დიპეფსიის სამკურნალოდ რეკომენდებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები, ერთის გარდა:

- ა) ცხოვრების წესის შეცვლა (დიეტა, წონის შემცირება, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტა და სხვ.)
- ბ) მარტივი ანტიაციდების გამოყენება;
- გ) პერისტალტიკის დაქვეითების შემთხვევაში, მისი მასკიმულირებელი საშუალებების გამოყენება;
- \*დ) H2 რეცეპტორების ბლოკატორების გამოყენება.

2177. რომელია სწორი ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან?

- \*ა) სკრინინგი მეორეული პრევენციის სინონიმია და გულისხმობს ასიმპტომური პაციენტის გასინჯვას, გამოკითხვას ან გამოკვლევას დაავადების არსებობის ან არარსებობის დადგენის მიზნით;
- ბ) სკრინინგი პირველადი პრევენციის სინონიმია და გულისხმობს დაავადების გამომწვევ მიზეზზე ზემოქმედებას და მის აღმოფხვრას;
- გ) სკრინინგი მესამეული პრევენციის სინონიმია და გულისხმობს ჩამოყალიბებული დაავადების კონტროლსა და მართვას.

2178. რომელია არ არის სწორი ქვემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებებიდან:

- ა) საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კარცინომა იწყება ადგილობრივი დისპლაზიით;
- ბ) საშვილოსნოს ყელის კიბოს ადგილობრივი დისპლაზიის ფორმასა და ინვაზიურ ფორმას შორის დროის შუალედმა შეიძლება შეადგინოს 20 წელზე მეტი;
- გ) პაპანიკოლაუს ტესტი საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტური მეთოდია;
- დ) საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კიბოს არსებობაზე ეჭვის დასადასტურებლად პაციენტს უნდა ჩაუტარდეს კოლპოსკოპია და ცერვიკალური ბიოფსია;
- \*ე) პაპანიკოლაუს ტესტის ჩატარება მიზანშეწონილია მენოპაუზის პერიოდიდან მოყოლებული ყოველ 1 წელიწადში.

2179. კოლინჯისა და სწორი ნაწლავის კიბოს აღენომაგომური სტადიის ან ლოკალიზებული სტადიის იდენტიფიცირებისათვის საოჯახო მედიცინის პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: 1. რექტალური გასინჯვა; 2. რენტგენოგრაფია; 3. განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე; 4. სიგმოიდოსკოპია; 5. კომპიუტერული ტომოგრაფია.

- ა) სწორია 1, 2, 4;
- ბ) სწორია 3, 5;
- გ) სწორია 2, 4, 5;
- \*დ) სწორია 1, 3, 4.

2180. რკინის დეფიციტის კლინიკური ნიშნებია ქვემოთ ჩამოთვლილი, ერთის გარდა:

- ა) კანის სიმშრალე;

- ბ) კოილონიზაცია;
- გ) თმების ცვენა;
- \*დ) ენის წვა, ტკივილი;
- ე) გემოვნების გაუკუღმართება.

2181. ჰემოლიზის ნიშნებია ქვემოთ ჩამოთვლილი, ერთის გარდა:

- ა) სიყვითლე;
- \*ბ) კანის ქავილი;
- გ) არაპირდაპირი ჰიპერბილირუბინემია;
- დ) ჰემოგლობინურია;
- ე) ნორმოქრომიული ანემია.

2182. მწვავე ჰემოლიზის (ჰემოლიზური კრიზის) დროს აღინიშნება: 1. უეცარი დასაწყისი; 2. ჰიპერქრომიული ანემია; 3. სხეულის ტემპერატურის მომაგება; 4. ღვიძლის გადიდება; 5. ტკივილი წელის არეში, მუცელში; 6. ურობილინურია.

- ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 2, 4, 6;
- გ) სწორია 4, 5, 6;
- \*დ) სწორია 1, 3, 5;
- ე) სწორია 2, 4, 5.

2183. ქრონიკული ჰემოლიზური ანემიის დამახასიათებელი გართულებებია:

- ა) ოლიგოანურია;
- ბ) მწვავე გასგროინგესტინური ჰემორაგია;
- \*გ) ქოლელითიაზი;
- დ) ნეფროლითიაზი;
- ე) ჰეპატარგია.

2184. მიკროსფეროციტოზი დამახასიათებელია:

- ა) მწვავე პოსტჰემორაგიული ანემიისათვის;
- ბ) აპლაზიური ანემიისათვის;
- გ) ნამგლისებრუჯრედული ანემიისათვის;
- დ) ქრონიკული პოსტჰემორაგიული ანემიისათვის;
- \*ე) მინკოვსკი-შოფარის დაავადებისათვის.

2185. რომელი დაავადებისათვის არის დამახასიათებელი ელს-ის მკვეთრი შემცირება?

- ა) მიელომური დაავადებისათვის;
- ბ) რკინალეფიციტური ანემიისათვის;
- \*გ) ერითრემიისათვის;
- დ) პერნიციოზული ანემიისათვის;
- ე) აპლაზიური ანემიისათვის.

2186. სამიზნისმაგვარი ერითროციტების არსებობა დამახასიათებელია:

- ა) მინკოვსკი-შოფარის დაავადებისათვის;
- ბ) ტყვიით მოწამვლისათვის;
- \*გ) თალასემიისათვის;
- დ) მიელომური დაავადებისათვის;
- ე) ვილბრანდის დაავადებისათვის.

2187. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის დამახასიათებელი ჰენოხ-შონლაინის დაავადებისათვის?

- ა) სახსროვანი სინდრომი;
- \*ბ) ჰეპატოლიენური სინდრომი;
- გ) კანისმხრივი ცვლილებები;
- დ) თირკმლების დაზიანება;
- ე) აბლომინური სინდრომი.

2188. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის დამახასიათებელი მიელომური დაავადებისათვის?



- ა) ოსალგია;
- ბ) ანემია;
- გ) მაღალი ელს;
- \*დ) თრომბოციტოზი;
- ე) ჰიპერპროტეინემია.

2189. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის დამახასიათებელი ვიგამინი 12-ის დეფიციტით განპირობებული ანემიისათვის?

- ა) ქრონიკული ჰემოლიზის ნიშნები;
- \*ბ) მწვავე ჰემოლიზის ნიშნები;
- გ) საჭმლის მომნელებელი გრაქტის დაზიანების ნიშნები;
- დ) ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები;
- ე) ერთროციტების ბაზოფილური პუნქტაცია.

2190. მეგალობლასტური ანემიების რიცხვს მიეკუთვნება:

- ა) ქრონიკული პოსტჰემორაგიული ანემია;
- ბ) ნამგლისებრუჯრედული ანემია;
- \*გ) პერნიციოზული ანემია;
- დ) მინკოვსკი-შოფარის დაავადება;
- ე) ტყვიით მოწამვლით განპირობებული ანემია.

2191. ლიმფომების რიცხვს მიეკუთვნება: 1. ჰოჯკინის დაავადება; 2. ვალდენსტრემის დაავადება; 3. ბერკიტის ლიმფომა; 4. სოკოსებრი მიკოზი; 5. ალისონ-ბირმერის დაავადება.

- ა) სწორია 1, 3;
- ბ) სწორია 3, 5;
- გ) სწორია 2, 3, 4
- \*დ) სწორია 1, 3, 4

2192. მემკვიდრული კოაგულოპათიების რიცხვს მიეკუთვნება 1. ჰემოფილია; 2. ვილბრანდის დაავადება; 3. ვიგამინიას უკმარისობა; 4. დისემინირებული სისხლძაღვთაში და შედეგების სინდრომი; 5. ვერლჰოფის დაავადება.

- ა) სწორია 1, 3, 5;
- ბ) სწორია 3, 5;
- \*გ) სწორია 1, 2
- დ) სწორია 2, 3, 4;
- ე) სწორია 1, 2, 4;

2193. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დაავადებისას არის ფერადობის მაჩვენებელი ნორმალური?

- ა) 12 დეფუციტური ანემიალ
- ბ) რკინადეფიციტურ ანემია;
- გ) ქრონიკული პოსტჰემორაგიული ანემია;
- \*დ) მწვავე ჰემოლიზური ანემია;
- ე) თალასემია

2194. ეოზინოფილია დამახასიათებელია

- ა) აპლაზიური ანემიისათვის;
- ბ) ინფექციური მონონუკლეოზისათვის;
- გ) მიელომური დაავადებისათვის;
- დ) ქრონიკული ლიმფოლეიკოზისათვის;
- \*ე) არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილისათვის

2195. ინფექციური მონონუკლეოზის დროს პერიფერიული სისხლის ანალიზში აღინიშნება:

- ა) ლეიკოციტოზი;
- ბ) ლიმფოციტოზი;
- გ) მონოციტოზი;
- დ) აგიაური მონონუკლეარები;
- \*ე) ყველა ჩამოთვლილი;

2196. ინფექციური მონონუკლეოზის დროს პაციენტს შეიძლება აღინიშნოს:

- ა) კისრის უკანა მიდამოს ლიფური კვანძების გადიდება;
- ბ) ელენთის გადიდება;
- გ) ძლიერი საერთო სისუსტე;
- დ) ცხელება;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

2197. ლეიკოპენიის აღმოცენება მოსალოდნელია:

- ა) იმუნოსტიმულატორებით მკურნალობისას;
- ბ) კორტიკოსტეროიდებით მკურნალობისას;
- \*გ) ციტოსტატიკური პრეპარატებით მკურნალობისას;
- დ) ამინოგლიკოზიდებით მკურნალობისას;
- ე) ვიტამინოთერაპიის დროს.

2198. ელს-ის მკვეთრი მაგება აღინიშნება:

- ა) ერთრემიის დროს;
- ბ) ჰოდჯკინის დაავადების დროს;
- გ) ქრონიკული ლიმფოლეიკოზის დროს;
- \*დ) მიელომური დაავადების დროს.

2199. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დაავადების დროს აღინიშნება ერთროციტოზი?

- ა) ქრონიკული პიელონეფრიტის დროს;
- ბ) ძვლის გვინის აპლაზიის დროს;
- \*გ) ფილტვების ობსტრუქციული დაავადების დროს;
- დ) კუჭის კიბოს დროს;
- ე) მწვავე გლომერულონეფრიტის დროს.

2200. მწვავე ჰეპატიტის ეტიოლოგიური ფაქტორი შეიძლება იყოს:

- ა) ვირუსული ინფექცია;
- ბ) ბაქტერიული ინფექცია;
- გ) ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება;
- დ) ზოგიერთი გოქსიკური ნივთიერება და მედიკამენტი
- \*ე) ყველა ჩამოთვლილი

2201. რომელი მოსაზრებაა სწორი ღვიძლის ციროზის განვითარების ძირითადი მიზეზების შესახებ: 1) ციროზის ძირითადი მიზეზი დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არის ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება; 2) ციროზის ძირითადი მიზეზი როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში არის ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება; 3) ციროზის ძირითადი მიზეზი როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში არის ვირუსული ჰეპატიტი; 4) ციროზის ძირითადი მიზეზი განვითარებად ქვეყნებში არის ვირუსული ჰეპატიტი

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1;2
- \*ე) 1;4

2202. ტუტე ფოსფატამის აქტივობის მნიშვნელოვანი მაგება დამახასიათებელია:

- ა) ჰემოქრომატოზისთვის;
- ბ) ვილსონის დაავადებისთვის;
- გ) ბალ-კიარის სინდრომისთვის;
- \*დ) პირველადი ბილიარული ციროზისთვის;
- ე) კარდიული ციროზისთვის;

2203. კილბერის სინდრომისთვის დამახასიათებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) ოჯახური ანამნეზი
- ბ) ფერმენტ გლუკურონილტრანსფერაზის დეფიციტი
- გ) პერიოდული სიყვითლე
- \*დ) კონუგირებული ჰიპერბილირუემია

ე) ღაავადების გამოვლენა უპირატესად 20 წლის ასაკის შემდეგ

2204. ღაბინ-ჯონსონის სინდრომისათვის დამახასიათებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) სიყვითლის რეციდივები
- ბ) სისხლში კონუგირებული (შეკავშირებული) ბილირუბინის მომაგება
- \*გ) კანის ქავილი
- დ) შეუცვლელი ღვიძლის ფუნქციური სინჯები
- ე) ღაავადების გამოვლენა ბაშვობის ასაკში

2205. ანტიბიოტიკების რომელი კომბინაციას გამოიყენებთ ღვიძლის პიოგენური აბსცესის სამკურნალოდ (ემპირიულად): 1) მეორე გენერაციის ცეფალოსპორინებს ამინოგლიკოზიდებთან კომბინაციაში; 2) ფართო სპექტრის პენიცილინებს ამინოგლიკოზიდებთან კომბინაციაში; 3) კლინდამიცინი + ამინოგლიკოზიდები

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი
- ე) 1;2

2206. ღვიძლის ციროზის გავნითარების რისკ ფაქტორებია ყველა, გარდა ერთისა:

- ა) ალკოჰოლის მიღება > 50 გ/ღღეში
- ბ) სისხლის გადასხმა
- გ) ნარკოტიკების ინტრავენური გამოყენება
- \*დ) არტერიული ჰიპერტენზია
- ე) ჰეპატოტოქსიური მედიკამენტების ხმარება

2207. ღვიძლის ციროზისათვის დამახასიათებელი ღაბორატორიული ღარღვევებია: 1. ჰიპერბილირუბინემია; 2. პროთრომბინის ღროის გახანგრძლივება; 3. ჰიპოალბუმინემია; 4. ჰიპოამონიემია.

- ა) სწორია 1, 3
- ბ) სწორია 2, 4
- გ) სწორია 1, 2, 3
- \*დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი

2208. ციროზის ღროს ცუდი პროგნოზული მაჩვენებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) გახანგრძლივებული სიყვითლე
- \*ბ) არტერიული ჰიპერტენზია;
- გ) ხანგრძლივად გამოხატული ჰიპოტონია;
- ღ) ასციტი;
- ე) ალბუმინის ღაბალი ღონე სისხლში < 2,5 გ%.

2209. ჰეპატომეგალია, ნევროლოგიური და ფსიქიკური სომპტომატიკა, თვალის რქოვანა გარსისა და სკლერის საზღვარზე ოქროსფერი ან მომწვანო-ოქროსფერი რგოლის არსებობა, შარღში სპიღენძის კონცენტრაციის მაგება ახასიათებს:

- ა) ჰემოქრომატოზს
- ბ) პირველად ბიღარულ ციროზს
- \*გ) ვილსონის ღაავადებას (ჰეპატოლენტიკული ღეგენერაცია)
- ღ) იღოპათიურ ქრონიკულ ჰეპატიტს
- ე) მწვავე ჰეპატიტს

2210. ვილსონის ღაავადებისთვის დამახასიათებელი ღაბორატორიული მონაცემებია ყველა, ერთის გარღა:

- ა) შარღში სპიღენძის კონცენტრაციის მომაგება
- \*ბ) სისხლში სპიღენძის კონცენტრაციის მომაგება
- გ) სისხლის შრატში ცერულოპლაზმინის კონცენტრაციის ღაქვეითება
- ღ) სისხლის შრატში შარღმეჯავას ღაბალი შემცველობა
- ე) სისხლის შრატში სპიღენძის ნორმალური შემცველობა

2211. ღვიძლის ციროზის კლინიკური სურათი ფილტვების ემფიზემასთან ერთად ახასიათებს:

- ა) ვილსონის ღაავადებას

- ბ) ჰემოქრომატოზს
- \*გ) ალფა 1- ანტიტრიფსინის დეფიციტს
- დ) პირველად ბილიარულ ციროზს
- ე) მეორად ბილიარულ ციროზს

2212. ღვიძლის რომელი დაავადების დროს მიმართავენ ვენესექციას სისხლის გამოშვების მიზნით:

- ა) ვილსონის დაავადება
- \*ბ) ჰემოქრომატოზი
- გ) პირველადი ბილიარული ციროზი
- დ) ალფა - 1 ანტიტრიფსინის დეფიციტი
- ე) ქრონიკული ჰეპატიტი

2213. ღვიძლის რომელი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება პენიცილაზინი:

- \*ა) ვილსონის დაავადება
- ბ) ჰემოქრომატოზი
- გ) პირველადი ბილიარული ციროზი
- დ) ალფა-1 ანტიტრიფსინის დეფიციტი
- ე) ქრონიკული ჰეპატიტი

2214. ღვიძლის ცნიმოვანი გადაგვარების ანუ ცნიმოვანი ინფილტრაციის (სტეატოზი) მიზეზი შეიძლება იქნეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) ალკოჰოლის ხანგრძლივი მიღება;
- ბ) შაქრიანი დიაბეტი;
- გ) სიმსუქნე;
- დ) ზიგიერთი მედიკამენტების (გლუკოკორტიკოსტეროიდები, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები, ვალპურის მჟავა) ხანგრძლივად მიღება;
- \*ე) ზოგადი ათეროსკლეროზი.

2215. ღვიძლის მედიკამენტური დაზიანების კლინიკური მანიფესტაციის სახეებია: 1. მწვავე ჰეპატიტი; 2. ქოლესტაზი; 3. სტეატოზი; 4. ქრონიკული ჰეპატიტი.

- ა) სწორია 1, 4;
- ბ) სწორია 2, 4
- გ) სწორია 1, 4;
- დ) სწორია 2, 4
- \*ე) სწორია ყველა ჩამოთვლილი.

2216. ღვიძლის მწვავე უკმარისობის განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობა, გარდა ერთისა:

- ა) ვირუსული ჰეპატიტი;
- ბ) მედიკამენტებით გამოწვეული ღვიძლის დაზიანება;
- გ) სოკოთი მოწამულა;
- დ) ბად-კიარის სინდრომი;
- \*ე) მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი.

2217. ღვიძლის მწვავე უკმარისობას ახასიათებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- \*ა) ჰეპატომეგალია;
- ბ) ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია;
- გ) კოაგულოპათია და სისხლდენა გასტონტესტინალური ტრაქტიდან;
- დ) სიყვითლე;
- ე) პირიდან „ღვიძლისმიერი“ სუნი (Fetor hepaticus) .

2218. ქრონიკული გასტრიტის დიაგნოსტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება:

- ა) კუჭის რენტგენოლოგიურ გამოკვლევას;
- ბ) კუჭის წვენის გამოკვლევას;
- გ) ემზოფაგოგასტროდუოდენოსკოპიას;
- \*დ) კუჭის ლორწოვანი გარსის ბიოფსიას და ბიოპტატის ჰისტოლოგიურ შესწავლას;
- ე) ყველა ჩამოთვლილს.

2219. ქრონიკული გასტრიტის სპეციფიკური ფორმებია:

- ა) მენეგრიეს დაავადება;
- ბ) საზამთროსებრი კუჭი;
- გ) ეოზინოფილური გასტრიტი;
- დ) ალკალური (გუტოვანი) გასტრიტი;
- \*ე) ყველა ჩამოთვლილი.

2220. კუჭის კიბოს განვითარების მაპროვოცირებელი საკვები პროდუქტებია ყველა, გარდა ერთისა:

- ა) შემწვარი ხორცი;
- ბ) დამარილებული ბოსტნეული (მწნილი);
- \*გ) რძე, რძის პროდუქტები;
- დ) შებოლილი ხორცი;
- ე) შებოლილი თევზი.

2221. კუჭის კიბო კლინიკურად შეიძლება გამოვლინდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომით, გარდა ერთისა:

- ა) უმადლობა, საკვების, განსაკუთრებით ხორცის შეძულება;
- ბ) გაურკვეველი ხასიათის დისკომფორტი მუცლის (ეპიგასტრიუმის) არეში - სიმძიმის შეგრძნება ჭამის შემდეგ;
- \*გ) ტკივილი, რომელიც იხსნება საკვების ან ანგაციდური საშუალებების მიღებით;
- დ) წონაში მნიშვნელოვანი დაკლება;
- ე) გულისრევა და ხშირი ღებინება ყავის ნალექის მსგავსი მასის ამონაღები მასით.

2222. არასპეციფიკური წყლულოვან კოლიტს ახასიათებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა;

- ა) ანთებითი ცვლილებები ძირითადად გამოხატულია მსხვილი ნაწლავის ლორწოვან გარსში;
- ბ) ანთებითი პროცესი შესაძლებელია გავრცელდეს ლორწოქვეშა გარსზეც;
- გ) ხშირია რექტალური არის დაზიანება - წყლულოვანი პროქტიტი;
- \*დ) ხშირის წვრილი ნაწლავის დაზიანება;
- ე) ხშირია სიგმოიდური ნაწლავის დაზიანება - პროქტოსიგმოიდიტი.

2223. არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტისთვის დამახასიათებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) კუჭში ხშირი გასვლა (10-40-ჯერ) თხიერი განავლით, რომელიც შეიცავს ლორწოსა და სისხლს;
- ბ) ძლიერი შეტევითი ტკივილი მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში, რომელიც ვრცელდება მთელ მუცელში;
- \*გ) პერირექტალური გართულებები (ფისტულა და აბსცესი) ;
- დ) მსხვილი ნაწლავის მწვავე გაგანიერება - გოქსიკური მეგაკოლონი;
- ე) ანემია.

2224. ალკოჰოლური ჰეპატიტის კლინიკური ნიშნებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) უმადლობა და წონის დაქვეითება;
- ბ) სიყვითლე;
- \*გ) ღვიძლის ნორმალური ზომები;
- დ) სპლენომეგალია;
- ე) ენცეფალოპათია.

2225. პეპტიკური წყლულის გამომწვევი უხშირესი მიზეზია:

- ა) გენეტიკური მიდრეკილება;
- ბ) არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება;
- \*გ) *Helicobacter pylori*;
- დ) თამბაქოს წევა;
- ე) ფსიქოლოგიური სტრესი.

2226. *Helicobacter pylori*-სთან ასოცირებული პეპტიკური წყლულის მკურნალობა ტარდება:

- ა) ანტიბიოტიკებით მონოთერაპიით;
- ბ) მხოლოდ გრადიციული პრეპარატებით (ანგაციდებით, 2 - რეცეპტორების ანტაგონისტებით, პროტონული გუმბოს ინჰიბიტორებით, შემომგარსველი საშუალებებით) ;
- \*გ) ანტიბიოტიკებითა და გრადიციული პრეპარატებით;
- დ) არც ერთი ჩამოთვლილით.

2227. Helicobacter pylori-სთან ასოცირებული პეპტიკური წყლულის ანტიბაქტერიული სამკომპონენტური სქემა გულისხმობს:

- ა) ცეფალოსპორინებით, მეგრონიდაზოლითა და ბისმუტის პრეპარატებით მკურნალობას;
- ბ) პენიცილინის ჯგუფის, ცეფალოსპორინებითა და ბისმუტის პრეპარატებით მკურნალობას;
- \*გ) ტეტრაციკლინით, მეგრონიდაზოლითა და ბისმუტის პრეპარატებით მკურნალობას;
- დ) ტეტრაციკლინით, პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკებითა და ბისმუტის პრეპარატებით მკურნალობას;
- ე) ყველა ჩამოთვლილს.

2228. Helicobacter pylori -სთან არასოცირებული პეპტიკური წყლულის გრადიციული მკურნალობა გულისხმობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს, გარდა ერთისა:

- ა) ანტაციდური საშუალებების გამოყენება;
- \*ბ) ანტიბიოტიკების გამოყენება;
- გ) H2 - რეცეპტორების ანტაგონისტების გამოყენება;
- დ) შემომგარსავი საშუალებების გამოყენება;
- ე) პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორების გამოყენება.

2229. მალაბსორბციის სინდრომის განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) პანკრეასის ეგზოგენური უკმარისობა;
- ბ) ნაღვლის მეჯვების დეფიციტი;
- გ) ბაქტერიების ჭარბი ზრდა წვრილ ნაწლავში;
- დ) პარაზიტული დაავადებები;
- \*ე) ქრონიკული ჰეპატიტი.

2230. ქრონიკული პანკრეატიტის მიზეზი შეიძლება იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) ალკოჰოლის ჭარბად გამოყენება;
- ბ) პანკრეასის სალინარის დაზიანება;
- გ) ჰიპერლიპიდემია;
- \*დ) ქრონიკული გასტრიტი;
- ე) ჰიპერპარათირეოზი.

2231. პანკრეასის კიბოს პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს, გარდა ერთისა:

- ა) თამბაქოს წევამზე უარის თქმა;
- ბ) ქრონიკული პანკრეატიტის დროული ამოცნობა და მკურნალობა;
- \*გ) ნატურალური ყავის მიღებაზე უარის თქმა;
- დ) საკვებში ცხოველური ცხიმის შემზღუდვა;
- ე) ნავთობის პროდუქტებთან კონტაქტის შეწყვეტა.

2232. პაციენტს აღენიშნება ძლიერი შეგვეითი ხასიათის ტკივილი მუცლის ზემო ნაწილში ირადიაციით წელსა და ზურგში. ლეზინება, რომელსაც პაციენტისთვის შეუძლება არ მოაქვს. ტკივილის დაწყებას უკავშირებს ცხიმის შემცველი საკვებისა და ალკოჰოლის ჭარბად მიღებას. პაციენტი გაფითრებულია, შუბლზე აღენიშნება ცივი ოფლი. მუცლის მარჯვენა და მარცხენა ზედაპირზე გამოხატულია მოლურჯო-მოიისფრო ლაქები. მუცელი პალპაციით რბილია, აღინიშნება მტკივნეული წერტილის არსებობა ჭიპის მარცხენივ 3 სმ-ის ზემოთ. სისხლის საერთო ანალიზით - ლეიკოციტოზი. რომელ დაავადებაზე მიიგანთ ეჭვს?

- ა) მწვავე ქოლერისტიტი;
- \*ბ) მწვავე პანკრეატიტი;
- გ) მწვავე აპენდიციტი;
- დ) მწვავე გასტრიტი;
- ე) თირკმლის კოლიკა.

2233. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი მოსაზრება არ არის მართებული რეფლუქს-ეზოფაგიტის მიმართ?

- \*ა) საყლაპავის ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი დაავადებაა
- ბ) დაავადების დროს შესაძლებელია საყლაპავში ეროზიებისა და წყლულების გაჩენა შემდომში ნაწიბურის ჩამოყალიბებით
- გ) მისი მიზეზია კუჭის შიგთავის განმეორებითი რეფლუქსი საყლაპავის დისგალურ ნაწილში
- დ) დაავადება საყლაპავის ქვედა ეზოფაგური სფინქტერის ფუნქციის დარღვევის შედეგია;

ე) საყლაპავის ანთება კუჭის წველის ზეგავლენის შედეგია

2234. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რა არ ახასიათებს ნეფროზულ სინდრომს?

ა) შეშუპება

ბ) პროტეინურია

\*გ) არტერიული ჰიპერტენზია

დ) ჰიპოალბუმინემია

ე) ჰიპერლიპიდემია

2235. დღე-ღამის შარღში ცილის რა რაოდენობა განეკუთვნება ნეფროზული რანგის პროტეინურიას?

ა) 0,5 - 1,0 გ

\*ბ) > 3,5 გ

გ) 1,0 - 3,0 გ

დ) < 0,5 გ

2236. ნეფროზული სინდრომი შესაძლოა გართულდეს:

ა) თირკმლის ვენის თრომბოზით

ბ) თირკმლების მწვავე უკმარისობით

გ) ორთოსტაზული ჰიპოტენზიით

დ) ფილტვების შეშუპებით

\*ე) ყველა ჩამოთვლილით

2237. თირკმლების ქრონიკული უკმარისობის დროს ჰიპოკალცემიის მიზეზია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

\*ა) კალციუმის ინგენსიური კარგვა ღია რენის გამო

ბ) თირკმლებში ვიტამინის აქტიური მეტაბოლიტის სინთეზის დათრგუნვა

გ) ნაწლავებში კალციუმის შეწოვის დაქვეითება

დ) პლაზმაში არაორგანული ფოსფორის შემცველობის მომატება

ე) კალციუმის გაძლიერებული დაგროვება ძვლებში

2238. თირკმლების ქრონიკული უკმარისობის დროს რომელი შარღმდენის გამოყენებისგან შეიკავებთ თავს:

ა) ურეგიტი

\*ბ) გრამბგერენი

გ) ფუროსემიდი

დ) ეტაკრინის მჟავა

ე) ბუმეტანიდი

2239. თირკმლების ქრონიკული უკმარისობის დროს დიეტური შემზღუდა გულისხმობს ყველა

ქვემოთჩამოთვლილს, გარდა ერთისა:

ა) საკვებში ცილის რაოდენობის შემზღუდა

ბ) საკვებში კალციუმის რაოდენობის შემზღუდა

\*გ) საკვებში ადვილადმეწოვადი ნახშირწყლების შემზღუდა

დ) საკვებში ფოსფორის რაოდენობის შემზღუდა

ე) საკვებში სუფრის მარილის შემზღუდა

2240. მწვავე გლომერულონეფრიტის ახასიათებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

ა) მწვავე დასაწყისი ოლიგურიით ან ანურიით

\*ბ) ლეიკოციტურია

გ) არტერიული ჰიპერტენზია

დ) ჰემატურია

ე) პროტეინურია

2241. მწვავე გლომერულონეფრიტის განვითარების მიზეზი შესაძლოა გახდეს 1. ინფექციური ენდოკარდიტი; 2. ინფექციური მონონუკლეოზი; 3. ჰეპატიტი; 4. მალარია;

ა) სწორია 1, 4

ბ) სწორია 2, 3

გ) სწორია 1, 2, 3

დ) სწორია 1, 3

\*ე) სწორია ყველა

2242. ქრონიკული გლომერულონეფრიტის დროს შეიძლება აღინიშნებოდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ]გარდა ერთისა:

- ა) ნეფროზული სინდრომი
- ბ) არტერიული ჰიპერტენზია
- გ) იზოლირებული შარდის სინდრომი
- \*დ) ჰიპოკალიემია
- ე) თირკმლების ქრონიკული უკმარისობა

2243. ბერეეს დაავადებისთვის დამახასიათებელია:

- ა) დაავადების აღმოცენება ახალგაზრდა ასაში (35 წლამდე)
- ბ) ავადლების უპირატესად მამაკაცები
- გ) მაკროჰემატურია
- დ) არანეფროზული რანგის პროტეინურია
- \*ე) ყველა ჩამოთვლილი

2244. მწვავე გლომერულონეფრიტის მკურნალობა გულისხმობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს, გარდა ერთისა:

- ა) წოლთი რეჟიმი
- ბ) ანტიბიოტიკით (პენიცილინის ჯგუფი, ერითრომიცინი) მკურნალობის ხანმოკლე კურსი
- გ) საკვებში ცილის შემცველობის შემზღვევა
- \*დ) პრენიზილოლით მკურნალობის ხანმოკლე კურსი
- ე) სუფრის მარილისა და სითხის რაოდენობის შემზღვევა

2245. თირკმლების ამილოიდოზს ახასიათებს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ნიშანი, გარდა ერთისა:

- ა) შეშუპება
- ბ) ნეფროზული რანგის პროტეინურია (შარდში ცილის შემცველობა  $> 3,5$  გ/დლ)
- \*გ) არტერიული ჰიპერტენზია
- დ) ჰიპერლიპიდემია
- ე) ჰიპოალბუმინემია

2246. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან თირკმლების მწვავე უკმარისობის განვითარების უხშირესი მიზეზია:

- \*ა) თირკმლების ჰიპოპერფუზია
- ბ) ტოქსიკური ზემოქმედება
- გ) არაგრაფული რაბდომიოლიზი
- დ) ჰეპატორენული სინდრომი

2247. ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელი შეიძლება გახდეს თირკმლების მწვავე უკმარისობის პრერენული ფორმის მიზეზი?

- ა) ინტერსტიციული ნეფრიტი;
- ბ) პროსტატის ჰიპერპლაზია;
- \*გ) ჰიპოფოლეტია;
- დ) მწვავე ტუბულარული ნეკროზი;
- ე) კენჭით შარდსაწვეთის ობსტრუქცია.

2248. ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელი შეიძლება გახდეს თირკმლების მწვავე უკმარისობის რენული ფორმის მიზეზი:

- ა) კენჭით შარდსაწვეთის ობსტრუქცია
- ბ) ფიმოზი
- \*გ) მწვავე ტუბულარული ნეკროზი
- დ) დამწვრობა
- ე) ლეჰილრაგაცია

2249. თირკმლის მწვავე უკმარისობის ოლიგო-ანურიის ფაზის მკურნალობა ძირითადად გულისხმობს:

- ა) კალიუმის ფიზიოლოგიური ანგაგონისგების გამოყენებას
- ბ) კალიუმის კონცენტრაციის დაქვეითებას პლაზმაში მისი პლაზმიდან უჯრედში გაღანაწილების გზით
- გ) კალიუმის გამოძევებას ორგანიზმიდან



\*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილს

2250. ხველა სისხლიანი ნახველით და გლომერულონეფრიგის კლინიკური სურათი დამახასიათებელია:

- ა) თირკმლების ამილოიდოზისთვის
- ბ) ესენციური შერეული კრიოგლობულინემიისთვის
- \*გ) გულპასჩერის დაავადებისთვის
- დ) ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომისთვის
- ე) ლიმფოგრანულომატოზისათვის

2251. ყველა ქვემოთჩამოთვლილი შესაძლებელია გახდეს თირკმლების ამილოიდოზის მიზეზი, გარდა ერთისა:

- ა) ტუბერკულოზი
- ბ) ოსტეომიელიტი
- გ) რევმატოიდული ართრიტი
- \*დ) ჰიპერტონიული დაავადება
- ე) პერიოდული დაავადება

